პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

31 ივლისი, 1936 წ. — საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ათდღიური ორგანო — ფასი 50 კაპ. — № 12

მწერლების საპატიო ამოცანა

ერთი წლის წინათ ბოლშევიზმის მატიანე გამდიდრდა უძვირფასესი განძით—ამხ. ლ. ბერიას მოხსენებით „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“.

ამ შესანიშნავი დოკუმენტით, ბოლშევიკთა გმირული ბრძოლის სახელოვანი ისტორიით და ტრადიციებით აღფრთოვანებული ტფილისის პარტიული აქტივი დიდი ბელადისადმი გაგზავნილ მისალმებაში იძლეოდა დაპირებას, რომ მოაწყობდა საქ. კ.პ. (ბ) ისტორიის, ამიერ-კავკასიაში ბოლშევიზმის ისტორიის ღრმა მეცნიერულ დამუშავებას და შესწავლას.

ერთი წელიწადი გავიდა ამის შემდეგ და ახლა პარტია მკის იმ უხვ მოსავალს, რომელიც მოჰყვა ამხ. ლ. ბერიას მოხსენების შესწავლას.

ამ ძვირფასმა ისტორიულმა ნარკვევმა აამაღლა არა მარტო პარტიის წევრთა, არამედ მშრომელთა ფართო მასების კულტურულ-პოლიტიკური განვითარების დონე, წინ წასწია მათი სოციალისტური თვითშეგნება, გააძლიერა რევოლუციური წარსულის შესწავლის წყურვილი. ამ შესანიშნავმა შრომამ პარტიის ისტორიისადმი ინტერესი გააცხოველა არა მარტო საქართველოს და ამიერ-კავკასიის, არამედ მთელი ჩვენი თვალუწვდენელი კავშირის პარტიულ და უპარტიო მასებში. ჩვენი დიდი სამშობლოს ყოველ ქალაქსა და სოფელში, არხანგელსკიდან ვიდრე ლენინაკანამდე, მინსკიდან ვიდრე ხაბაროვსკამდე, მიმდინარეობდა ამხ. ბერიას მოხსენების საფუძვლიანი შესწავლა.

რით აიხსნება ეს ღრმა ინტერესი ამხ. ბერიას მოხსენებისადმი?

ამომწურავი პასუხი ამ კითხვას გასცა ჯერ კიდევ შარშან „პრავდა“-მ, რომელიც 10 აგვისტოს მეთაურში სწერდა: „ამხ. ბერიას მოხსენება უძვირფასესი განძია ბოლშევიზმის მატიანეში“... იგი „წარმოადგენს მძლავრ დასაყრდენს ბოლშევიზმის ისტორიის შესწავლისათვის. იგი ახალ ბრწყინვალე შუქს ჰფენს ჩვენი პარტიის ბრძოლისა და განვითარების ყველა უმნიშვნელოვანეს ეტაპს. იგი ავსებს საგრძნობ ხარვეზს ჩვენს პარტიულ ისტორიულ ლიტერატურაში“.

სწორედ ამიტომ გასცილდა ამ დოკუმენტის მნიშვნელობა ამიერ-კავკასიის რევოლიუციური მოძრაობის ისტორიის ფარგლებს და გახდა საკავშირო და საერთაშორისო მნიშვნელობის ისტორიულ დოკუმენტად.

ის ფაქტი, რომ რევოლიუციური მოძრაობა საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით გადაიქცა საერთაშორისო რევოლიუციური მოძრაობის განუყოფელ ნაწილად, ხოლო ა/კ. ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ისტორია ამხ. ლ. ბერიას მოხსენების მეოხებით მისაწვდომი შეიქმნა საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისათვის—ეს ფაქტი სიამაყის გრძნობით ავსებს ჩვენი ორდენოსანი რესპუბლიკის ყოველ მშრომელს, აღაფრთოვანებს მას შემდგომი ბრძოლისა და თავდადებული მუშაობისათვის.

შემოქმედებითი ენტუზიაზმისა და შთაგონების წყაროდ გადაიქცა ამხ. ბერიას მოხსენება საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთათვის.

ამ დოკუმენტის შესწავლამ ერთი დიდი თემის გარშემო გააერთიანა, ერთ დიდ კოლექტივად დარაზმა საქართველოს მხატვრები და მოქანდაკენი. დაუცხრომელმა მისწრაფებამ გადმოეცათ ფერწერასა და მარმარილოში ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი ორგანიზაციის განვითარება არა მარტო პოლიტიკურად აღზარდა, არამედ მხატვრულადაც დაავაჟკაცა ფერწერისა და ქანდაკების ოსტატები.

დაუცხრომელმა მისწრაფებამ—მოეცათ დიდი ლენინის ყველაზე უფრო ახლობელი, ყველაზე უფრო ერთგული და თანმიმდევარი თანამებრძოლის ამხ. სტალინის სახე, ჩვენი მხატვრები აღჭურვა ღრმა იდეურობით, პოლიტიკური სიმახვილით, ააცდინა ისინი უნაყოფო ფორმალისტურ ძიებას, უიდეო ნატურალისტურ ჭაობს და გამოაძებნინა მათ ამ დიდი თემის შესაფერი სტილი, რეალისტური სტილი ფერწერასა და ქანდაკებაში.

ჩვენი მხატვრების ნამუშევართა გამოფენაზე, რომელიც ამ ორი დღის წინად გაიხსნა, ჩვენს თვალწინ გადაიშალა მთელი ეპოქა, რომელიც მთელი თავისი ბუმბერაზობით წარმოგვიდგენს, თუ როგორ ვითარდებოდა ჩვენში რევოლუციური მოძრაობა ბელადის ზრდასთან ერთად და როგორ იწვრთნებოდა ბელადი ამ მოძრაობის განვითარებასთან ერთად. საქართველოს ხელოვანებმა სული ჩაბერეს ქვებს, აამეტყველეს საღებავები და ჩვენ წინ ცოცხლად წამოიმართნენ პროლეტარული რევოლუციის საქმისათვის მებრძოლი გმირები, ამხ. სტალინის უახლოესი მეგობრები და თანამშრომლები.

ეს გამოფენა უდაო გამარჯვებაა ჩვენი მხატვრებისა და ნაყოფი იმ შთაგონებისა, რომელიც მათ მიიღეს ამხ. ბერიას ბრწყინვალე მოხსენებიდან.

ასეთივე ცხოველმყოფელი ზეგავლენა იქონია ამხ. ბერიას მოხსენებამ ქართულ საბჭოთა პოეზიაზე, რომლის მთავარ თემად გადაიქცა სტალინის გენიალური პიროვნება, მისი აზრისა და საქმის ბუმბერაზობა, ქართველ საბჭოთა პოეტებმა სცადეს გადმოეცათ უსაზღვრო თავდადების ის გრძნობა, რომელსაც ყოველ მშრომელში ჰბადებს თანამედროვეობის უდიდესი ადამიანი, ხალხთა საყვარელი ბელადი ამხ. სტალინი. განა ძლევამოსილ ლეიტმოტივად არ გაისმის საქართველოს მშრომელთა წერილში ამხ. სტალინისადმი მადლობის უღრმესი გრძნობა. რომელიც შემდეგ დაუვიწყარ სტრიქონებშია გამოთქმული:

„ჩვენ ბრძოლების პირველ დღიდან შენ მოგვეცი შთაგონება..
ჭირში მყოფილთ გვარკინებდა შენი ხმების გაგონება,
სიხარულში ჩვენთან არის შენი გული და გონება. -
ჩვენო სტალინ, ჩვენო მკვიდრო, ჩვენო დიდო მოამაგე,
გაიშალა ის ნაყოფი, შენ რომ შენი ხელით დარგე“.

განა მთელი ეს წერილი, ქართველი პოეტების მიერ მხატვრულად დამუშავებული, გამოძახილი არ არის ამხ. ბერიას მოხსენებისა?

თუ ჩვენმა პოეტებმა შესძლეს ამ მგზნებარე, ჭეშმარიტად ამაღლებულ სიტყვებში ქართველი მშრომელი ხალხის გრძნობების გამოთქმა, ეს არის შედეგიც ამხ. ბერიას მოხსენების, რომელმაც მთელი სიდიადით დაგვანახა დიდი ბელადის უდიდესი როლი ამიერ-კავკასიის და საქართველოს მშრომელი ხალხის განთავისუფლების საქმეში.

მაგრამ იმით, რაც ქართულმა საბჭოთა პოეზიამ მოგვცა ამ ერთი წლის მანძილზე, ოდნავადაც არ არის ანაზღაურებული ის ვალი, რომელიც ამხ. ბერიას მოხსენებიდან გამომდინარეობს.

მართალია, ჩვენ გვაქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაწარმოები 1905 წლის მოძრაობიდან, მაგრამ ჩვენს კრიტიკას არც ერთი მათგანი არ გაურჩევია ამხ. ბერიას მოხსენებაში მოცემულ ძირითად დებულებათა თვალსაზრისით. რამდენად ასახავენ ისინი ისტორიულ სიმართლეს? რამდენად სწორად არის გაშუქებული ბოლშევიკური ორგანიზაციების, მათი ხელმძღვანელების როლი დიდ სახალხო მოძრაობაში? რამდენად გაუყალბებლად არის წარმოდგენილი მაშინდელი სოციალური გარემო და ის გამწვავებული შეტაკებანი მუშათა კლასის მოწინააღმდეგე ძალებთან, რომელნიც ზრდიდნენ, აკაჟებდნენ პარტიას, წვრთნიდნენ მის ბელადებს, ამდიდრებდნენ პარტიას რევოლიუციური ბრძოლის გამოცდილებით? ჩვენი კრიტიკა უძლურია გასცეს პასუხი ამ კითხვებს, რადგან მას ჯერ კიდევ არ მოუხდენია 1905 წლის ამსახავ ნაწარმოებთა მარქსისტულ-ლენინური ანალიზი. ჩვენი კრიტიკის სადღეისო ამოცანაა შეავსოს ეს დიდი ხარვეზი. რაც უფრო საფუძვლიანად და მალე გააკეთებს იგი ამ საქმეს, მით უფრო დიდ სამსახურს გაუწევს მწერლებს რომელნიც რევოლიუციური წარსულის თემატიკაზე მუშაობენ ან მუშაობას აპირებენ.

ჩვენმა მწერლობამ უნდა მოგვცეს ბოლშევიზმის ისტორია დიდ მხატვრულ ამაღლებულ ტილოებში.



ამხ. სტალინის საუბარი აჭარელ გლეხებთან.

მხატ. აპ. ქუთათელაძე.

ანდრე ჟიდი საქართველოში

საღამო ძერჟინსკის სახელობის ბაღში

17 ივლისს ძერჟინსკის სახელობის ბაღი ჯერ კიდევ სტუმრების მოსვლამდე გაიჭედა მწერლებით, ხელოვნების მუშაკებით, მუშათა ორგანიზაციების და საბჭოთა საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენლით.

საღამოს 10 საათზე ანდრე ჟიდი და მისი თანამგზავრები ლუი გუიო, ეჟენ დაბი, შიფრინი, ქართველი მწერლების თანხლებით, ეწვივნენ მათ შესახვედრად თავმოყრილ საზოგადოებას, რომელიც მქუხარე ტაშით შეხვდა ძვირფას სტუმრებს.

საღამო გაიხსნა ამხ. არისტო ჭუმბაძის ფრანგულად წარმოთქმული სიტყვით. ქართველი მწერლების სახელით ამხ. ა. ჭუმბაძემ მწერალს გაუზიარა ის დიდი სიხარული, რომელსაც საბჭოთა საქართველოს მშრომელნი განიცდიან ევროპის უდიდესი რევოლუციონერი მწერლის, ღრმა მოაზროვნის, ნამდვილი ჰუმანისტის ანდრე ჟიდის სტუმრობის გამო. ორატორმა დამსწრეთ გააცნო ანდრე ჟიდის აქტიური ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ მთელი ქვეყნის მშრომელთა სამშობლოს—საბჭოთა კავშირის დასაცავად. შეეხო რა მოკლედ ცარიზმისა და მენშევიკების მიერ გაპარტახებულ საქართველოს წარსულს, ამხ. ა. ჭუმბაძემ სტუმრებს მოუთხრო საქართველოს სამეურნეო და კულტურული წინსვლის, მისი აყვავების შესახებ, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა მიაღწიეს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის ბრძნულ მითითებათა საფუძველზე.

ორატორის ეს სიტყვები დაჰფარა მქუხარე ტაშმა, რომელიც გადაიქცა ხალხთა უდიდესი ბელადის ამხ. სტალინის პატივსაცემ ოვაციად.

— დაჰყოფთ რა ჩვენს ქვეყანაში რამდენიმე დღეს,—განაგრძო ამხ. ა. ჭუმბაძემ,—თქვენ ნახავთ ჩვენს წარმატებებს, ჩვენს ბედნიერ საამურ ცხოვრებას. თქვენ დარწმუნდებით აგრეთვე, რომ ყოველი ქართველი მწერალი, ხელოვნების ყოველი მუშაკი პარტიის პირველ მოწოდებისთანავე მზად არის მოჰკიდოს ხელი იარაღს სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

— გაუმარჯოს საფრანგეთის სახელოვან ხალხს! გაუმარჯოს საფრანგეთის დიდ მწერალს ანდრე ჟიდს! გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მშრომელთა სოლიდარობას, გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს ამხ. სტალინს!

ყველანი ფეხზე დგება. დიდხანს გაისმის მქუხარე ტაში.

ესტრადაზე ადის ანდრე ჟიდი, რომელსაც საზოგადოების ხანგრძლივი მქუხარე ტაში საშუალებას არ აძლევს დაიწყოს თავისი სიტყვა. მწერალი უგულითადეს მადლობას მოახსენებს დამსწრეთ ასეთი თბილი შეხვედრისა და დიდი ყურადღებისათვის. მას საზოგადოება ტაშის ცემით მრავალჯერ აწყვეტინებს სიტყვას, რომელმაც უფრო მეტი აღტაცება გამოიწვია, როცა იგი ქართულად სთარგმნა ორდენოსანმა პოეტმა პავლე იაშვილმა.

შემდეგ თავიანთი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ტიციან ტაბიძემ, კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, ი. გრიშაშვილმა. დამსახ. მსახიობმა ვ. ანჯაფარიძემ წარმოსთქვა საიათ-ნოვას ლექსები.

შეხვედრა დამთავრდა კონცერტით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ოპერის მომღერლებმა—გამრეკელმა, ცომაიამ, ამირანაშვილმა და ბადრიძემ. სტუმრებზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს მეგრელიშვილის მეჩონგურეთა ანსამბლმა, პაჭკორიას და ს. კავსაძის ეთნოგრაფიულმა გუნდებმა.

კახეთში

მეორე დღეს, 18 ივლისს დილით ანდრე ჟიდი და მისი თანამგზავრი მწერლები ქართველი მწერლების ჯგუფთან ერთად ავტომობილით კახეთს გაემგზავრნენ. იმავე დღეს ჩავიდნენ თელავს, სადაც სტუმრებს საზეიმო შეხვედრა მოუწყეს. მწერალს მიართვეს ცოცხალი ყვავილების თაიგული და მისი სტუმრობის აღსანიშნავად გამოშვებული გაზეთის სპეციალური ნომერი. თელავში მწერლებმა დაათვალიერეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და სხვა ისტორიული ძეგლები. თელავიდან მწერლები გაემართნენ წინანდლისაკენ, სადაც მათ დაუხვდა ადგილობრივი კოლმეურნე გლეხობა. წინანდალში ანდრე ჟიდმა დიდი ინტერესით დაათვალიერა ღვინის სარდაფი, გაეცნო ღვინის წარმოების პროცესს, გამოიკითხა ღვინის დამუშავების წესები და თავადაც გაუზიარა მასპინძლებს, თუ რას წარმოადგენს ამჟამად მეღვინეობა მის სამშობლოში — სამხრეთ საფრანგეთში.

სტუმართა წიგნში ანდრე ჟიდმა შემდეგი სიტყვები ჩასწერა:

„მზიური კახეთის ადამიანთა ღიმილი და შეხედვა პირდაპირ გულში გვხვდება. ნოყიერი მიწის სიხარული, ამ კუთხის მშვენიერება, ბუნების სილამაზე, მასპინძელთა მომხიბვლელი სტუმართმოყვარეობა,—ყოველივე ეს ჩვენს გულში სტოვებს წარუშლელ საამო მოგონებას. ვჩქარობ ჩავსწერო ეს სტრიქონები მანამდე, ვიდრე გავსინჯავდე თქვენი ღვინის გემოს, რადგან, ვშიშობ, შემდეგ, მრუდედ არ დავწერო, მაგრამ მაგონდება ერთი ირანელი პოეტი, რომელზედაც ამბობდნენ,—და ეს იყო უდიდესი ხოტბა,—რომ „მან შესვა რა საუკეთესო ღვინო, მაინც შესძლო სწორად და ლამაზად დაწერა“.

ჰოლანდიელმა მწერალმა ჟეფ-ლასტმა სტუმართა წიგნში ჩასწერა:

„მაღალი მთიდან ჩვენ დავინახეთ ქვეყნიერების მთელი სილამაზე. ამ მიწიერ სამოთხეში ჩვენ შევსვით ღვინო ისე ტკბილი, როგორც ბედნიერება თავისუფალ სოციალისტურ ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანთა“.

19 ივლისს დილით მწერლები გაემგზავრნენ სიღნაღისაკენ, სადაც მათ შეხვდნენ რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელნი. აქაც სახელოვანი ფრანგი მწერლის სტუმრობის აღსანიშნავად ადგილობრივმა გაზეთმა „კოლმეურნემ“ გამოუშვა სპეციალური ნომერი, სადაც დაბეჭდილია ანდრე ჟიდისადმი მიძღვნილი ლექსები კოლმეურნე ქადაგიაშვილის და პიონერების — ვ. დარჩიაშვილის და თ. პაატაშვილისა.

იმავე დღეს ანდრე ჟიდი და მისი თანამგზავრები ეწვივნენ კოლმეურნეობას „ლენინის ანდერძი“ სოფ. ბუკრიანში, სადაც მწერალს შეეგებნენ სადღესასწაულოდ გამოწყობილი კოლმეურნეები. გაჩაღდა ცხოველი, მეგობრული საუბარი. ანდრე ჟიდმა კოლმეურნეებს გამოჰკითხა, თუ როგორია მათ არტელში შრომის ორგანიზაცია და ანაზღაურება, როგორ აქვთ მოწესრიგებული დასვენება, კულტურული გართობა, კერძოდ, მწერალი დაინტერესდა კოლმეურნეთა ლიტერატურული განვითარებით და გემოვნებით.

მწერლის შეკითხვაზე მრავალმა კოლმეურნემ უპასუხა, წაკითხული გვაქვს ქართულად თარგმნილი მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებნი—პუშკინის, ტოლსტოის, ვიქტორ ჰიუგოს, ანრი ბარბიუსის და სხვ. თითქმის ყველამ ვიცით „ვეფხის ტყაოსანი“.

— თქვენ ძალიან ბედნიერი ადამიანები ხართ,—შენიშნა ამ პასუხზე ანდრე ჟიდმა.—თქვენ მუშაობთ, ისვენებთ და კიდევ გრჩებათ დიდი დრო იკითხოთ შესანიშნავი წიგნები. ჩემ სამშობლოში კი გლეხები, ოჯახი რომ გამოჰკვებონ, განთიადიდან შუაღამემდე მუშაობენ. მათ დასასვენებლადაც არ სცალიანთ. წიგნის წაკითხვა მათთვის ოცნებაა, თქვენ კი მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსებს კითხულობთ.

კოლმეურნეებმა მწერალს აცნობეს, რომ ჩვენ გვრჩება დრო სასპორტო ვარჯიშობისთვისაც, ხშირად ვაწყობთ ფეხბურთს, კალათბურთს, დიდი გატაცებაა აგრეთვე ჩვენ შორის ჭადრაკითაც.

— ჭადრაკზე ჩვენ გლეხებს წარმოდგენაც კი არა აქვთ,—სთქვა ანდრე ჟიდმა.

საღამოთი სტუმრების პატივსაცემად კოლმეურნეთა კლუბში გაიმართა დიდი კონცერტი. კოლმეურნეებმა შესანიშნავად შეასრულეს კახური სიმღერები და ხალხური ცეკვის სხვადასხვა ნომრები. ზოგიერთი სიმღერა ანდრე ჟიდს ისე მოეწონა, რომ რამდენჯერმე გაამეორებინა. კონცერტის შემდეგ მოედანზე გაიმართა საერთო სახალხო ცეკვა.

გორში, სტალინირში, ბათომში

24 ივლისს, ანდრე ჟიდი თავის თანამგზავრ უცხოელ და ქართველ მწერლებთან ერთად ეწვია გორს. აქ, პირველყოვლისა, მწერალმა დაათვალიერა სახლი, სადაც დაიბადა და თავისი ბავშვობა გაატარა ხალხთა დიდმა ბელადმა ამხ. სტალინმა.

გორიდან ანდრე ჟიდმა ამხ. სტალინს გაუგზავნა დეპეშა, სადაც მწერალი გამოსთქვამს თავის აღფრთოვანებას დიდი ბელადის სამშობლოში მიღებულ შთაბეჭდილებათა გამო.

იმავე დღეს საღამოს ანდრე ჟიდი ესტუმრა სტალინირს. აქ მას შეხვდნენ სამხრეთ-ოსეთის ცაკის თავმჯდომარე—ჯიოევი, განათლების კომისარი კულაევი, კოლმეურნეები, პიონერები, პარტიულ-საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები. სტალინირშიაც მწერალს ჰქონდა მეტად გულთბილი, მეგობრული საუბარი კოლმეურნეებთან, მოწაფეებთან, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებთან.

25 ივლისს, მწერალი ჩავიდა ბორჯომში. მეორე დღეს გაემართა აჭარისაკენ და საღამოს უკვე ბათომში იყო, სადაც მწერალს დახვდა ისეთივე აღფრთოვანება და სიხარული, როგორც ყველგან მთელს საბჭოთა კავშირში. აჭარაში მან დაათვალიერა ჩაისა და ციტრუსოვან კულტურათა მეურნეობები და ღირსშესანიშნავი ადგილები.

სოხუმში გამგზავრების წინ ანდრე ჟიდმა გაზეთების წარმომადგენლებს განუცხადა:

„ჩემი შთაბეჭდილება იმდენად მრავალი, იმდენად მშვენიერი, მკაფიო და ფერადოვანია, რომ დროის გარკვეული პერიოდია საჭირო, რომ მასში გავერკვე და ნათლად გამოვთქვა განცდილი, მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ დასათვალიერებელი მაქვს საქართველოს ერთერთი უმშვენიერესი ნაწილი—აფხაზეთი“.

ანდრე ჟიდის სიტყვა—წარმოთქმული ძერჟინსკის სახ. კლუბში

ამხანაგ სტალინის მიერ ცხოვრებაში გატარებულ ყველა იდეიდან, რომელიც უზრუნველჰყოფს მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვებას, ყველა იდეიდან, რომელმაც უნდა მოიცვას მთელი დედამიწა და გადააქციოს საბჭოთა კავშირი ბრწყინვალე შუქურად, რომლის ცხოველმყოფელი სხივები გზას უკვლევს ყველა ხალხს სინათლისაკენ, უმაღლესი შვებისა და ბედნიერებისაკენ, ყველა ამ იდეიდან მე განსაკუთრებით განმაცვიფრა ახალი კონსტიტუციის — კაცობრიობის ამ დიადი ხარტიის იდეამ. მე ღრმად ამაღელვა სტალინური კონსტიტუციის იმ მუხლებმა, რომელნიც ამჟღავნებენ ზრუნვას—დაცულ იქნას ყველა ერში მისი დამახასიათებელი თავისებურობა, მისი განსაკუთრებული თვისებები, რომელთა ჰარმონიული მთლიანობა ჰქმნის ერთიან დიად საბჭოთა სიმფონიას, სადაც შენარჩუნებულია ყველაზე მკაფიო, ყველაზე ინდივიდუალური თვისებები—ენა, ჩვეულებები, ტრადიციები, ერთი სიტყვით, ყველაფერი, ტანსაცმელით დაწყებული, ადამიანის უღრმესი შინაგანი ბუნებით დამთავრებული.

სწორედ ყოველივე ამან მომცა უმაღლესი წარმოდგენა სტალინის სიბრძნეზე. არც ერთი სხვა კუთხისათვის ეს არ იქნებოდა ისე სასურველი, როგორც კავკასიისათვის, რომლის მამაც ხალხებმა ამ მშვენიერ საბჭოთა სიმფონიაში შეიტანეს უაღრესად ნათელი ნოტა, უაღრესად მდიდარი ხმოვანება. დიახ, მე ბედნიერი ვარ მოვისმინო ამ ჰარმონიულ გუნდში განსაკუთრებით დიდბუნებოვანი, განსაკუთრებით თბილი და ფერადოვანი ხმოვანება. მე დიდად ბედნიერი ვარ ვიხილო, თუ ქართული კულტურა რამდენად ახლოა და ენათესავება ფრანგულს. უახლოვდები რა ხალხს, რომელიც მე წინადაც მიყვარდა, ხალხს, რომლის ხმა პირველად მე ახლა გავიგონე, უფრო უკეთ ვხვდები და ვგრძნობ ყველაფერს, რაც კი არის ამ ხმაში პოეტური, ვაჟკაცურ-კეთილშობილური, წარმტაცი და ამავე დროს ნაზი, რამაც ჩემს გულში ღრმა და ძმური გამოძახილი გამოიწვია.

ანდრე ჟიდის წერილი ამხ. ბერიას

„გამოთხოვება საქართველოსთან“

ამხ. ბერია! როდესაც საქართველოს სილამაზეზე ვლაპარაკობ, სტენდალის სიტყვები მაგონდება. იგი სილამაზეს ბედნიერების აღთქმას ეძახდა. შეიძლება არცერთ სხვა ქვეყანაში, რომელსაც მთელ მსოფლიოში ვიცნობ, ბედნიერება არ ჩანდეს უფრო ახლოს, უფრო ხელშესახები, ვიდრე ამ ქვეყანაში.

ჰავის წყალობით დიდი, სურნელოვანი ყვავილები ყველგან ბუნებრივად იფურჩქნება, გემრიელი ნაყოფები ადამიანს იწვევენ იგემოს ისინი, და რომ ბათომი წინათ მცნობოდა, ჩემს წიგნში „მიწიერი საზრდო“ წიგნში, რომელშიც 30 წლის წინათ ხოტბას ვასხამდი ბუნებრივ სიხარულს, ამ შესანიშნავ ბაღებს შევაქებდი. მაგრამ შეიძლება ისინი არც კი არსებობდნენ იმ დროს, ისევე, როგორც მშვენიერი ბოტანიკური ბაღი და ჩაის ვრცელი პლანტაციები.

ძველი კოლხიდის მითოლოგიური ნაყოფიერება ლეგენდარული იყო ყოველ დროს. იგი იზიდავდა დამპყრობელთა სიხარბეს, აბედვინებდა ძნელ საქმეებს და საზრდოს აძლევდა პოეტების ფანტაზიას. მაგრამ სსრ კავშირს წილად ხვდა გაეღვიძებინა ამ ქვეყნის მთვლემარე სიმდიდრეები და გამოეყენებინა ჰავის სიკეთე, ისე რომ დღეს მგზავრმა აღარ იცის, რით აღფრთოვანდეს უფრო ბუნების ძალით, ჭკუით აღსავსე მეცადინეობით, რომელმაც გამოაღვიძა ეს ძალა, თუ პოეტის ხმით, რათა ერთსა და იმავე დროს ხოტბა შეასხას ერთსაც და მეორესაც, შეაქოს მშვენიერი დღევანდელი დღე და გმირული წარსული და მომავალი.

მენანება, რომ ვტოვებ ეგზომ მშვენიერ ქვეყანას და ჩემში წარუშლელი იქნება მისი ხსოვნა, აღსავსე მისი და იმ მიღების მწვავე მოგონებით, რომელიც იქ მომიწყეს: აქ ხალხი გულს გიშლის, ხელს გიწვდის და მაგრად გართმევს.

მიუხედავად ენათა სხვადასხვაობისა, აზრები ერთდება, მასპინძელთა გულთბილობა, რაც მათ გამოიჩინეს საქართველოში ჩემსა და ჩემი თანამგზავრების მიმართ ჩემი მგზავრობის ყველაზე მშვენიერი ნაწილის განმავლობაში, ამ ქვეყნის სილამაზისა და სულგრძელობის ადამიანურ გამოხატულებად მეჩვენებოდა.

უნდა დავძინო, რომ არსად სსრ კავშირში არ მიგრძნია უფრო ნამდვილი, უფრო მოყვარული ერთგულება გამარჯვებული რევოლუციის დიდი საქმისადმი, ვიდრე მშვენიერ ორდენოსან საქართველოში, რომელმაც თავის ხელმძღვანელთა გონების წყალობით, შესძლო შეენარჩუნებინა, აღედგინა ან ახლად მოეპოვებინა თავისი ჭეშმარიტი ტრადიციის ძირითადი თავისებურებანი. ისე რომ თუ იგი ჩაინთქმება ჩემში, ჩემს დიდ სიყვარულში სსრ კავშირის მიმართ, მაინც გამოვყოფ მას და შევუნარჩუნებ ჩემს გულში განსაკუთრებულ უპირატესობას.

ანდრე ჟიდი.

1936 წ. 28 ივლისი.

შენ, ჩემო სამშობლოვ ახალო

დავით გაჩეჩილაძე

სად კრემლი ჯავშნოსან გემივით ხატია,
ჯეჯილთა ზვირთები ზღვად არი,
სად თავისუფლების შრიალებს ხარტია.
ვარდისფრობს ცა შეუსადარი,
მგოსნებო, გახედეთ სამშობლოს განთიადს,
ასეთი სამშობლო სად არი!

მგოსნებო: დასწერეთ, იქუხეთ, ამოთქვით,
პოეტურ სიმღერის მახვილით,
თქვენ ლექსში შეიტანეთ ველს მწვანედ გაორთქლილს,
აქ ზაფხულს, გულის ცახცახით,
ქარით და წალკოტით მიწას რომ ამოჰკრ ის.
უძლეველ სიცოცხლის ძახილი.

და ამ ვრცელ ზაფხულში, ის სიბრძნით ქებული,
დგას, უხმობს მილიონ სტახანოვს,
შლის კონსტიტუციას, რომ დამკვიდრებული
ეპოქის სინათლე გვახაროს.
იცოცხლე, იხარე ამ ვარსკვლავთ კრებულ ით,
შენ ჩემო სამშობლოვ ახალო!

იცოცხლე, და შენ კი მრისხანე გადიავ,
წარსულო, ნუღა მომელანდები...
გუგუნებს სიმღერა, მთიდან მთას გადიარს
წკრიალით, ფოთლების ამდენი,
ო, ამ ერთ სიმღერას რამდენი ბაგე აქვს,
რამდენი გული აქვს, რამდენი...

ეს ჟღერა მიაღწევს შორს ქვეყნებს, ბინდიანს,
ერთ ჩანგზე ათას ხმით დაკრული,
წინ გოლიათები საჯიბროდ მიდიან,
გვიჩვენონ გმირობა ზღაპრული;
მწამს, ჩემი უფლებაც აქ ისე დიდია,
ვით ქვეყნად უფლება ზაფხულის...

რომ, როგორც მაისი აქ მრავალნაირად,
მეც ვხარობ ზაფხულის ფესვებით,
რომ გავიფანტები სხივად და შაირად,
ხან წვიმად ცას ჩამოვეკვევი,
გვალხინე ჩონგურო, ფანდურო, დაირავ,
ლექსები დასძახეთ... ლექსები...

ეს არის ახდენა ხალხთა დიდი ოცნების,
უთვალავ სიცოცხლის დარია....
შოგრიტით ჩასცქერენ იქ ციალკოვსკები
სივრცეთა ჩაბურულ დარიალს.
აქეთ კი, სულ ახლოს, დათოვილ კონცხ ვით,
თითქო ლურჯ ტალღებში მთვარეა.

და სად ძველ სწავლულთა ელვარე ფიქრები
ცას ობოლ პეპლებად უცდიდა.
უმზერდნენ მოდგმანი შუბლ განაფითრები
ქოხების დამპალი ზღურბლიდან,
ჩვენ კიდით-კიდემდე შორს გადავფრინდებით
თეთრ ფრთებზე ელვით და ღრუბლითა.

ჩვენ იქ ვართ, სამშობლოვ, სად კრემლი ანთია,
ჯეჯილთა ზვირთები ზღვად არი,
ხალხთა თავისუფლების შრიალებს ხარტია,
ვარდისფრობს ცა შეუსადარი,
განთიადს გახედეთ, სამშობლოს განთიადს,
ასეთი სამშობლო სად არი!

მზადება რუსთაველის იუბილესათვის

საბჭოთა კავშირში დღითი-დღე იზრდება ინტერესი შოთა რუსთაველის იუბილესადმი. ყველას აინტერესებს ახლო გაეცნოს უდიდესი მწერლის უკვდავ ქმნილებას.

რუსეთის ლიტგამომცემლობამ ახლახან გამოსცა „ვეფხის - ტყაოსანი“ (ბალმონტის თარგმანი) 15.000 ტირაჟით. ეს გამოცემა რამდენიმე დღეში გაიყიდა. იგივე გამომცემლობა გამოუშვებს პოემის ახალ მხატვრულ გამოცემას 35.000 ცალის რაოდენობით. გარდა ამისა, გამოვა „ვეფხის-ტყაოსნის“ მასობრივი გამოცემა 100.000 ტირაჟით.

განზრახულია, გიორგი ცაგარლის თარგმანიც ასეთივე ტირაჟით გამოიცეს.

რუსეთის სალიტერატურო გამომცემლობა შოთას იუბილესათვის ამზადებს კრებულს. კრებულში მონაწილეობას მიიღებენ, როგორც რუსი, ისე ქართველი ავტორები: მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ი. ლუპოლი, პროფ. ბოლოტნიკოვი, აკადემიკოსი ი. ორბელი, პროფ. ივანე ჯავახიშვილი. შ. ნუცუბიძე, ს. კაკაბაძე, ი. აბულაძე და სხვ. კრებული გამოვა 33 ფორმის მოცულობით.

სტალინური კონსტიტუცია და ქართული მწერლობა

ბესარიონ ჟღენტი

სავსებით ბუნებრივია სიამაყისა და აღფრთოვანების ის გრძნობა, რომლითაც გამოეხმაურა საქართველოს საბჭოთა მწერლობა სტალინის გენიით აღბეჭდილი საბჭოთა ქვეყნის ახალი კონსტიტუციის პროექტს.

მართლაც, არ შეიძლება ბედნიერად არა გრძნობდეს თავს ის მწერლობა, რომელსაც ისტორიამ წილად არგუნა უმღეროს განხორციელებული სოციალიზმის პირველ სამშობლოს, გამოჰკვეთოს უმაგალითო გმირების —ახალი ადამიანების სახეები, გამოხატოს იმ ქვეყნის სინამდვილე, სადაც დემოკრატიის, ხალხთა და პიროვნებათა თავისუფლებისა და თანასწორობის, შრომის სუფევის დიდი იდეები პირველად პოულობენ რეალურ განხორციელებას.

ქართული მწერლობის სიამაყის გრძნობა გამოწვეულია იმითაც, რომ საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითი ბრძოლის შედეგები შედის პროლეტარული რევოლუციის იმ საუკეთესო მონაპოვართა ფონდში რომელთა საფუძველზედაც გამოიჭედა შრომისა და თავისუფლების ეს უკვდავი ხარტია.

ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხის თავდადებულმა ბრძოლამ და გმირულმა შრომამ, რევოლუციური კლასის დიდმა იდეებმა, ჩვენმა გმირულმა რევოლუციურმა სინამდვილემ აღზარდა ქართული საბჭოთა ლიტერატურა და გამოიწვია ჩვენი პოეტური კულტურის, ჩვენი მხატვრული პროზისა და დრამატურგიის შეუჩერებელი იდეურ-მხატვრული ზრდა.

საკმარისია, თვალი გადავავლოთ ქართული საბჭოთა პოეზიის დამახასიათებელ ნიმუშებს, რომ ნათელი გახდეს თუ რა დიდი იდეურ-შემოქმედებითი ძვრები განიცადა ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში.

სოციალისტური სამშობლოსადმი სიყვარული, ჩვენი დიდი ბელადის სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების გრძნობა, წარმოადგენს ქართული საბჭოთა პოეზიის ძირითად შთამაგონებელ ძალას.

აკი, ლენინისა და სტალინისადმი მიძღვნილ ლექსებში ქართული საბჭოთა პოეზიის საუკეთესო წარმომადგენლებმა გამოავლინეს თავიანთი პოეტური ენერგია და ლირიკული ძალა.

ჩვენი სოციალისტური სინამდვილის და ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხის რევოლუციური ბრძოლის მასალებზე შეიქმნა ქართული მხატვრული პროზის მდიდარი და მრავალფეროვანი პროდუქცია.

ქართულმა მწერლობამ თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე რევოლუციის წლებში პირველად გადალახა ნაციონალური კარჩაკეტილობის ზღუდეები და ფართოდ გამოვიდა საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე.

ყოველივე ეს უფლებას აძლევს ქართულ საბჭოთა მწერლობას, რომ თავისი საუკეთესო მიღწევები იგულისხმოს იმ სიმდიდრეთა და მონაპოვართა შორის, რომლებსაც ასეთი სიამაყით აჯამებს და ათვალიერებს ჩვენი ქვეყანა სტალინური კონსტიტუციის პროექტის სახალხოდ განხილვის დღეებში.

მაგრამ უდიდესი შეცდომა იქნებოდა, თუ ეს გარემოება ჩვენი მწერლობის რიგებში თვითკმაყოფილებისა, დამშვიდებისა და თვითგანდიდების, განწყობილობას გამოიწვევდა.

სტალინური კონსტიტუციის ფურცლებზე აღბეჭდილი ჩვენი სინამდვილის სიდიადე უდიდესი პასუხისმგებლობის ამოცანებს აყენებს საბჭოთა ლიტერატურის წინაშე. ჩვენთვის უფრო ნათელი და გასაგები ხდება, თუ რამდენად დიდი შემოქმედებითი აქტივიზაცია, მთელი ძალების მაქსიმალურად დაძაბვა და ამოძრავება დასჭირდება საბჭოთა მწერლობის მთელს მასას სტალინური კონსტიტუციის წარმოშობის სინამდვილის და მის საუკეთესო ადამიანთა ღირსეული გამოხატვისათვის. სტალინური კონსტიტუციის პროექტი ნამდვილი დემოკრატიის ტრიუმფს წარმოადგენს. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ჩვენს ქვეყანაში მატერიალური და სულიერი კულტურის მთელი სიმდიდრე ხალხს ეკუთვნის, რომ იგი მთლიანად ხალხის კეთილდღეობას ხმარდება. ეს გარემოება მთელი სიმწვავით აყენებს ჩვენს წინაშე მწერლობის ხალხურობის საკითხს. ქართული საბჭოთა პოეზია ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ჩვენი ეპოქის ამ აუცილებელ მოთხოვნას.

ჩვენი საბჭოთა პოეზია, რომელიც თავისი იდეურობით ახლოს დგას მშრომელი მასების რევოლუციურ მსოფლმხედველობასთან, მაინც ჯერ კიდევ ვერ შეიჭრა ჩვენი ხალხის შეგნებაში ისე ღრმად, რომ ჩვენი პოეტების ლექსებსაც იზეპირებდეს, იმეორებდეს და მღეროდეს ხალხის უფართოესი მასა. ეს იმიტომ, რომ ჩვენმა საბჭოთა პოეზიამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია სისადავის იმ მაღალ ოსტატობას, რომელსაც ასე შესანიშნავად ფლობდნენ კლასიკური პოეზიის საუკეთესო ოსტატები. ზოგიერთმა საბჭოთა პოეტმა, ხალხურობის პრინციპი გაიგო, როგორც ხალხური ზეპირ-სიტყვიერების ფორმების მზა-მზარეულად გადმოტანა პოეზიაში, ან კიდევ პოეტური მეტყველების გაუბრალოება და გამარტივება. ცხადია, ასეთი გზა ყოვლად გაუმართლებელია. ხალხი მოითხოვს საბჭოთა პოეზიისაგან სიღრმისა და სისადავის ორგანულ შეთვისებას. ამ ამოცანის დაძლევით უნდა უპასუხოს ჩვენმა პოეზიამ ნამდვილი დემოკრატიის ტრიუმფს —სტალინურ კონსტიტუციას.

საბჭოთა ქართული პროზა, უმთავრესად ისტორიული და ისტორიულ რევოლუციური თემების დამუშავებას უნდება.

თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ ძველად კლასიკურ ქართულ მწერლობაში ისტორიულ თემებზე მუშაობა დაკავშირებული იყო წარსულის იდეალიზაციასთან იმ მიზნით, რომ არსებული საზოგადოებრივი წყობის უარყოფითი მხარეები უფრო მკაფიოდ გამოეჩინათ. საბჭოთა მწერლობის რომანებში კი ჩვენ ვხედავთ ისტორიის ისეთ გამოხატულებას, რომელიც მიმართულია ჩვენი რევოლუციური სინამდვილის განმტკიცებისა და დაცვისაკენ. ისტორიული თემების დამუშავების მხრივ ქართულ საბჭოთა პროზას თვალსაჩინო მიღწევები მოეპოვება, მაგრამ მას ვერ ვიტყვით ჩვენი რევოლუციური სინამდვილის და მის შესანიშნავ ადამიანთა გამოხატვის შესახებ. ამ მხრივ ჩვენს ლიტერატურას დიდი ხარვეზები აქვს.

სტალინური კონსტიტუციის პროექტი ხაზს უსვამს მშრომელი ინტელიგენციის უფლებრივ გათანასწორებას მუშათა კლასთან და კოლმეურნე გლეხობასთან. ეს თანასწორობა ჩვენმა მშრომელმა ინტელიგენციამ დაიმსახურა თავისი თავდადებული შრომით და ბრძოლით სოციალისტური მშენებლობის უაღრესად საპასუხისმგებლო უბნებზე. არის თუ არა ქართულ საბჭოთა მწერლობაში გამოხატული საბჭოთა მშრომელი ინტელიგენციის ტიპიური სახე?

ამ კითხვას უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში“ თუ გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“ მოცემული ტიპები ინტელიგენციისა განასახიერებენ მხოლოდ ჩვენი ინტელიგენციის ერთ მცირერიცხოვან მომაკვდავ ფენას. ხოლო ჩვენი კულტურის მეცნიერებისა და მეურნეობის ფრონტზე მებრძოლ საბჭოთა ინტელიგენტის სახე ჯერ კიდევ უცდის ნამდვილ გამოხატულებას.

სტალინური კონსტიტუციის პროექტში ხაზგასმულია ქალის უფლებრივი თანასწორობა და მისდამი უდიდესი მზრუნველობა. ჩვენს ქვეყანაში ქალმა უკვე განახორციელა თავისი უფლებები სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობით. ქართულ საბჭოთა ლიტერატურას ჯერ არ დაუხატავს არც ერთი ტიპიური სახე, რომელიც გამოხატავდეს საბჭოთა ქვეყნის განთავისუფლებული ქალის შრომასა და ბრძოლას.

სტალინურ კონსტიტუციაში მთელის სიძლიერით ნათქვამია, რომ ყოველი საბჭოთა მოქალაქის წმინდათა წმინდა მოვალეობას წარმოადგენს სოციალისტური სამშობლოს დაცვა და მზადყოფნა საერთაშორისო იმპერიალიზმის მხეცურ ზრახვათა უკუსაგდებად.

არის თუ არა ჩვენს მწერლობაში სათანადო სიღრმით და სიძლიერით გამოხატული ჩვენი გმირული წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობა და ჩვენი სამშობლოს თავდაცვის წმინდათა წმინდა იდეა? ჩვენს მწერლობაში ამ დიდი თემისა და პრობლემისადმი მიძღვნილი რამდენიმე ლექსის და პატარა მოთხრობის მეტი არაფერი მოგვეპოება, მხოლოდ ჩვენი სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში არის დასმული ეს საკითხები მთელი სიმძაფრით. მხოლოდ გალ. ტაბიძემ გადააქცია ეს თემა თავისი შემოქმედების ერთ-ერთ ძირითად და ორგანიულ თემად.

ამ გარემოებათა აღნუსხვაც საკმარისია იმის ნათელსაყოფად. თუ რა დიდ ამოცანებს აყენებს ჩვენს წინაშე შრომისა და თავისუფლების ის უკვდავი ხარტია, რომელსაც სტალინური კონსტიტუცია ეწოდება.

ცხადია, ქართულ საბჭოთა მწერლობას სავსებით შეგნებული აქვს თავისი ვალი ჩვენი დიდი სამშობლოს წინაშე. პროლეტარული რევოლუციის 20 წლისთავისათვის შემოქმედებითი სამზადისის პროცესში, ცხადია ქართული მწერლობა გამდიდრდება მთელი რიგი ახალი ნაწარმოებებით, რომლებიც საგრძნობლად შეავსებენ ზემოდ დახასიათებულ ხარვეზს.

ლ. ქიაჩელის ახალი რომანი „გვადი ბიგვა“, პავლე იაშვილის ახალი პოემა „გაფრენა“, კონსტანტინე ლორთქიფანიძის „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“-ს მეორე წიგნი, დემნა შენგელაიას და პანტ. ჩხიკვაძის ახალი რომანები, სერგო კლდიაშვილის ახალ ნოველათა წიგნი, ალ. ჭიიშვილის რომანი „ზემსახური“ და მრავალი სხვა ახალი პოეტური და ბელეტრისტული ნაწარმოები, რომლებზედაც ამჟამად მუშაობენ ჩვენი საუკეთესო საბჭოთა მწერლები, უეჭველად აიყვანენ ქართულ საბჭოთა მწერლობას იდეური შემოქმედებითი ზრდის ახალ საფეხურზე და საგრძნობლად შეამცირებენ ჩვენი მწერლობის სინამდვილისაგან ჩამორჩენილობის მანძილს.

ამ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე პოემა „სამშობლო“, რომელსაც კოლექტიურად სწერენ პოეტები: ტ. ტაბიძე, ს. ჩიქოვანი, ნ. მიწიშვილი.

სტალინური კონსტიტუციის პროექტი კიდევ უფრო გააცხოველებს ჩვენი მწერლობის საშემოქმედო ენტუზიაზმს. ეს უკვდავი დოკუმენტი არა მარტო გაზრდის საბჭოთა მწერლობის პასუხისმგებლობის გრძნობას, მის შრომის უნარიანობას, არამედ წარმოადგენს მძლავრ იმპულსსაც საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის.



პირველი ს. დ. ორგანიზაციის ჩამოყალიბება ტფილისში ამხ. **სტალინის** წინადადებით.
მხატ. ირ. შტემბერგი

ქართველ მწერალთა თარგმანები ფრანგულად

(საუბარი ანდრე ჟიდთან)

საქართველოდან გამგზავრების წინ ანდრე ჟიდს სოხუმში ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მწერლებთან — საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პასუხისმგებელ მდივანთან ამხ. დ. დემეტრაძესთან, ტიციან ტაბიძესთან და კონსტანტინე ლორთქიფანიძესთან, რომლებიც მას ახლდნენ მოგზაურობის დროს, — ქართველ მწერალთა რჩეულ ნაწარმოებების ფრანგულად თარგმნის შესახებ.

ყოველივე იმას, რაც გავიგონე მოსკოვში ქართული პოეზიის შესახებ, — სთქვა ანდრე ჟიდმა, — და რისი გაცნობაც მოვასწარი საქართველოში, მივყევარ იმ აზრამდე, რომ საჭიროა სერიოზულად მოვაგვაროთ ქართველი მწერლების გამოცემა პარიზში. ამაზე მე მოველაპარაკები ჩემს მეგობრებს და გამომცემლობას.

საქართველოს მწერალთა კავშირი ანდრე ჟიდს დაჰპირდა გამოცემის გეგმის შედგენას და ქართული კლასიკური და საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებების შერჩევას თარგმნისათვის. თარგმნის დროს გამოყენებული იქნება რუსი ავტორების — ბორის პასტერნაკის, ნიკ. ტიხონოვის, პ. ანტოკოლსკის და სხვათა გამოცდილება.

ქართულ ნაწარმოებთა ფრანგული გამოცემისათვის ანდრე ჟიდი დასწერს წინასიტყვაობას და გადასთარგმნის რამდენიმე ლექსს და პროზაულ ნაწარმოებს, როგორც ეს მან შეასრულა რაბინდრანათ თაგორის ნაწარმოებთა გამოცემის დროს.

ანდრე ჟიდი დააინტერესა ქართველი მწერლების განცხადებამ, რომ ლენინგრადში განსვენებულ აკადემიკოს მ. ბროსეს არქივში აღმოჩენილია შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხის ტყაოსნის“ ფრანგული პროზაული თარგმანი, შესრულებული აკადემიკოს მ. ბროსეს მიერ. ანდრე ჟიდმა სთხოვა მათ, როცა ამ თარგმანს რუსთაველის კომიტეტში შეამოწმებენ, ასლი მე გადმომიგზავნეთო.

დიდი ყურადღებით მოისმინა ანდრე ჟიდმა ქართველი მწერლების ინფორმაცია საფრანგეთის კლასიკოსების და თანამედროვე მწერლების— ვიქტორ ჰიუგოს, გ. ფლობერის, ანატოლ ფრანსის, გ. მოპასანის, ო. ბალზაკის, სტენდალის, პ. მერიმეს და სხვათა თარგმნისა და გამოცემის შესახებ საქართველოში. მწერალმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა მონტესკიეს, ვოლტერის და რასინის ადრინდელი ქართული თარგმანების დიდ კულტურულ მნიშვნელობას.

ქართველი მწერლები დაჰპირდნენ ანდრე ჟიდს, რომ პარიზში გადაუგზავნიან ზაქარია ფალიაშვილის ოპერის „დაისის“ პარტიტურას; ნაწყვეტები ამ ოპერიდან ანდრე ჟიდმა მოისმინა ბორჯომში ლენინგრადის ორკესტრის შესრულებით. გადაგზავნილი იქნება აგრეთვე ა. მეგრელიძის ხელმძღვანელობით არსებულ მეჩონგურე ქალთა გუნდის სიმღერების ფირფიტები. ეს სიმღერები ძალიან მოეწონა ანდრე ჟიდს.

დასასრულ ანდრე ჟიდმა სთხოვა მწერლებს გადასცენ ქართველ ამხანაგებს, რომ მისი მოგზაურობა საქართველოში ერთერთი ულამაზესი მოგზაურობა იყო მთელს მის ცხოვრებაში.

ილია ჭავჭავაძის ახლად აღმოჩენილი ლექსი

იაკობ ბალახაშვილი

ჩემ მიერ დასაბეჭდათ გამოტანილი ლექსი აღმოჩნდა ილია ჭავჭავაძის უახლოესი მეგობრის ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის კირილე ლორთქიფანიძის (1839-1913) მიერ პეტერბურგში შედგენილ პატარა ზომის ყავისფერ მაგარყდიან ხელნაწერ ლექსთა კრებულში, რომელიც ამ რამოდენიმე ხნის წინათ გადმომცეს დროებით სარგებლობისათვის.

კრებული ანუ „ქართველ მწერლების თხზულებანი“, როგორც მას კ. ლორთქიფანიძე ეძახის, იხსნება ილია ჭავჭავაძის ნაწერებით, რომელშიაც შეტანილია პოეტის 31 ლექსი. ლექსების დაწერის თარიღი (ერთი ლექსის გამოკლებით, რომელსაც თარიღი არა აქვს) იწყება 1856 წლიდან და არ სცილდება 1859 წელს. კრებულში მოთავსებულია აგრეთვე პოემა „კაკო ყაჩაღი“, რომელსაც ბოლოში კ. ლორთქიფანიძის ხელითვე გაკეთებული აქვს ასეთი შენიშვნა: „ავტოღრაფიდან სწორედ გადაწერილია და შესწორებული. —27 მარტს 1862 წ. ქ. პეტერბურღი კ. ლორთქიფანიძე.“

ხელნაწერ ლექსთა კრებულში მოთავსებულ ილია ჭავჭავაძის ლექსს: „ჩემი თარი არალი„ (მიბაძვა ალ. ჭავჭავაძისადმი) თუმცა არ უზის დაწერის დრო, მაგრამ როგორც ზემოთ უკვე აღნიშნული გვქონდა, იგი მოთავსებულია ილიას ლექსთა იმ ჯგუფში, რომელთა დაწერის დატა არ შორდება 1859 წელს. ყოველ შემთხვევაში ეს ლექსი ვერ დაიწერებოდა 1862 წლის 27 მარტის შემდეგ, რადგან ამ რიცხვს დასრულებულია ი. ჭავჭავაძის განყოფილების შედგენა. კრებულში წარმოდგენილი სხვა პოეტების ნაწერებიც აღნიშნულ თარიღს არ სცილდება. უდავოდა სჩანს აგრეთვე, რომ იგი დაწერილია საქართველოს გარეთ, უცხოეთში, როგორც ილიას ბიოგრაფიიდან ვიცით 1857-1861 წლებში იგი პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა, ცხადია, ეს ლექსიც პეტერბურგშივეა დაწერილი.

აქვე აღსანიშნავია, რომ ამ ლექსთა კრებულიდან (მცირედი მასალების გამოტოვებით) შეადგინა და 1864 წელს პეტერბურგში გამოსცა კირილე ლორთქიფანიძემ თავისი ც
ლი, ეხლა ბიბლიოგრაფიულ ი
თობათ გადაქცეული, „ჩონგური

ამ შენიშვნების შემდეგ მო
თვით ლექსი ყოველგვარ ცვლი
ბის გარეშე:

ჩემი თარი არალი.

(მიბაძვა ალ. ჭავჭავაძისადმი

ჰე, ძმანო! ნეტავი ჩვენა, ჰარი არა
დღეს მოგვეცა, შვება-ლხენა, ჰარი
მამულისა სიყვარულმა . . .
ძმობა გულში ჩაგვიყენა . . .
რაგინდ რომ ცენზორი ღრინავდეს
ჩვენის სისხლისთვის გრგვინავდეს
ვერ შეგვაშინებს ცენზორი . .
თუ გულში ძმობა ბრწყინავდეს .
მინდა ვსთქვა, კალამი მამე .
ცენზორო, დასტური დამე .
მონება კაცთ არ შეშვენის
ქრისტეა ამის მოწამე . .
ცენზორმა რა ერთხელ ინება .
მორჭმულ კაცის დამონება . .
თვის სხეული კერპად დასვა .
სული ეშმაკთ მიანება . . .
ჰე, ძმანო! ჩვენ მას განვშორდეთ
ჩვენ ჩვენ მამულს ვეპატრონეთ .
ქართველს ვაჩვენოთ ქართველობა .
მერე თუნდა დავიხოცნეთ .
თუ ერთობა ჩვენ გვექნება .
მტერი წინ ვერ დაგვიდგება
ჩვენგანი ქართვლის დამთრგუნველს
ან მოჰკლამს ან შეაკვდება
თუ ჩვენში ძმობა იქნება .
საქმე არსად წაგვიხდება
ვერ თვით დიდი ეზოპი .
თავის ზღაპრით მემოწმება .
ჰე, ძმანო ვიყვეთ ერთ ბედით .
წინა წავიდეთ გაბედვით . .
ჩვენ ცენზორი ვერას დაგვაკლებს
თვისის ბრმა წინასწარ ხედვით .
დავეხსნათ ჩინის ძებნასა . .
ემაგ ფუქსა დიდებასა . .
ჩინოვნიკი სულ ძილს ფიქრობს .
და ჩვენ კი გამარჯვებასა . .
ვემსხვერპლოთ ქრისტისა მცნებას .
ვაშოროთ ქართველი მონებას . .
ქართველის უბრალო მადლობა .
გვერჩივნოს ყოველ დიდებას . .
ჰე, ძმანო! თქვენც მეთანხმებით .
ამგვარის აზრის ხსენებით . .
სიბრიყვის კარი გავტეხოთ .
მონარქთა გამოჯავრებით . .
ამა სოფლისა ცხოვრება . .
განყოფით არ იპოვება . .
ვინცა ძმობით არ ყოფილან .
მათ მოხვედრიათ მონება . .
მაშ მოდით ისევ ძმობითა .
დრო გავატროთ შრომითა . .
მამულს სიცოცხლე შევწიროთ .
შვილურის ერთგულებითა . .
თუ დავესწრათ გაზაფხულსა . .
ჩვენგან ნათესს აღმოსულსა . .
მეტი ჯილდო რაღად გვინდა . .
თუ ვსჭვრეტ მამულს გაფურჩქვნილ
ჰე, ძმანო! ეგ ჩვენ რომ ვნახოთ .
თუნდ სამოთხე მით დავკარგოთ .
მხიარულების სიმღერა . . .
თვით ჯოჯოხეთს შემოვსძახოთ .
ქართვლის ქვეყნისა ვართ შვილნი .
ქართვლის ძუძუთი გაზრდილნი .
მაშ მოდით, ქართველნო ძმობით
არაღ
ვიშრომოთ ჩვენთვის ერთობით, ჰარი



ამხ. **სტალინი** ესაუბრება გლეხებს წყალტუბოში.
მხატ. მოსე

ილია ჭავჭავაძე და მეფის ცენზურა

არ. ახნაზაროვი

ეხლანდელმა მკითხველმა და ბევრმა ახალგაზრდა მწერალმაც-კი, რაღა თქმა უნდა, სავსებით არ იცის და ძნელად წარმოიდგენს ძველის, მეფის რუსეთის დროის ჟურნალ-გაზეთებისა და ამ სარბიელზედ მოღვაწეთა მდგომარეობას. მწერლობას მთავრობის მხრივ რუსეთის ცენტრშიაც და მით უფრო სხვა ადგილებში, დამონებულ, გასარუსებელ ერთა ქვეყნებში რამდენიმე დარაჯი უდგა. ამ დარაჯობას ეწეოდა სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლება, საგანგებოდ ამ საქმისათვის დანიშნული მოხელე ცენზორი და ასე წარმოიდგინეთ, თვით სასულიერო წოდებაც-კი. ამის გამო ყოველ მწერალს, უფრო უმეტესად იმას, ვინც თავის წერილში ჟამთა სიავეს შეეხებოდა, დიდი სიფრთხილით უნდა გამოეთქვა თავისი აზრი და გულის ნადები, უნდა სცდილიყო სიტყვების გადაკვრით ეგრძნობინებინა მკითხველისათვის თავისი სათქმელი და ნიღაბაფარებული აზრი სტრიქონსა და სტრიქონს შუა მალვით გაეპარებინა. ხშირად მომხდარა, რომ მწერალს თავისი ნაწარმოები თარგმანის სახით გამოუქვეყნებია, რომ ამითი ცენზორის ყურადღება მიეძინებინა და მკითხველამდე დაუმახინჯებლად მიეღწია. ერთი ასეთი ლექსი, სხვათა შორის, თვით ილია ჭავჭავაძეს აქვს, თუ არა ვცდები, ნათარგმნად გამოქვეყნებული, თუმცა იგი მის საკუთარს ნაწარმოებს შეადგენს.

რომელსამე ადმინისტრატორს, ან მოხელეს ავი რამ მოქმედება რომ ჩაედინა, ან ხაზინის ფული გაეფლანგა, ვერავინ გაჰბედავდა ამის პირდაპირ დაწერას, რადგან შესაძლებელი იყო, რომ მისი უფროსები იმის დანაშაულს ხელს დააფარებდნენ და გაზეთის რედაქტორს-კი ლიფამაციის წესით სასამართლოში საჩივარს აუტეხდნენ მთავრობის მოხელის შეურაცხყოფისათვის. ამიტომ იყო, რომ ასეთი მოხელის უკანონო მოქმედებას გაზეთი ცალყბად და გაკვრით მოიხსენიებდა ხოლმე და თან დასძენდა, რომ ჭორად ხმა დადისო. უნებურად მაგონდება ერთის რეპორტიორის სიტყვები:

ლიტ. საქართველო

უნდა ვთქვა ჭორი, (ვითომ მართალიო)
მტერი მყავს ორი:
ჯერ რედაქტორი,
მერე ცენზორი.

ასეთ ცენზორად წარსულ საუკუნის მე-80 წლების დასაწყისში ბრძანდებოდა საუკულმართოდ სახსენებელი ლუკა სტეფანეს ძე ისარლოვი, რომელიც 1882 წ. დაინიშნა კავკასიის საცენზურო კომიტეტების წევრად ანუ უფრო გასაგებად რომ ვსთქვათ, ქართულის ენის ცენზორად ქ. ტფილისში და ამ თანამდებობას 1889 წ. დამლევამდე ასრულებდა. ამასთან საგულისხმოა გავიხსენოთ, რომ ლუკა ისარლოვი დაბადებული იყო 1814 წ. და ცენზორად-კი დანიშნეს 1882 წ. ე. ი. 62 წლისა, როდესაც მას უკვე გამოვლილი ჰქონდა ათასგვარი საადმინისტრაციო და საპოლიციო თანამდებობა და მათ შორის მაზრის უფროსის თანაშემწისა და თვით მაზრის უფროსისაც. ამ სულითა და ხორცით მოხელემ კარგად იცოდა ყოველგვარი საადმინისტრაციო ხრიკები და ამ ხრიკების ათასგვარ ჩალაში იყო გამოვლილ-გამოწრთობილი. ერთხელ იქამდეც-კი მივიდა მისი სამსახურისა და რუსეთის სამეფო ტახტის ერთგულება, რომ გაზეთის ფურცლებზე აგვიკრძალა საქართვე-

როგორც ვუწყით, ილია ჭავჭავაძემ თავისი თვიური ჟურნალი „ივერია“ 1886 წლის პირველ იანვრიდან ყოველდღიურ გაზეთად გადააკეთა. ამ დროს ცენზორად ლუკა ისარლოვი ბრძანდებოდა, ხოლო მე ამ გაზეთის მუდმივი თანამშრომელი ვიყავი 1886 წლიდან 1903 წლამდე. კარგად მახსოვს, რომ ამ გაზეთის საცენზურო ფურცელში ცენზორს ბევრჯელ ამოუშლია სიტყვა „საქართველო“ საქრონიკო ამბავშიაც-კი, რომლითაც გაზეთი ატყობინებდა მკითხველს, რომ წრეულს საქართველოში მიწის მოსავალს კარგი პირი უჩანსო, ცენზორი სიტყვას „საქართველოში“ ამოშლიდა ხოლმე და წითელის მელნით ჩააწერდა: „ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში“-ო.

განსვენებული ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა ვაჟა-ფშაველას ნიჭს. აკაკი წერეთელი ვაჟას თუ ენას უწუნებდა, გაიხსენეთ იმისი ლექსი:

„ენას გიწუნებ, ფშაველო,
მგოსანო მაღალ მთისაო“...

ილიას ყოველი იმისი სიტყვა მარგალიტად მიაჩნდა და იმის ნაწარმოებში ენას არასოდეს არ შეასწორებდა ხოლმე. მახსოვს ერთი ასეთი ეპიზოდი:

1886 წ. მაისის დამლევს გაზ. „ივერია“-ში იბეჭდებოდა ვაჟა ფშაველას შემდეგი ლექსი, სიმღერად წოდებული:

ერთხელაც იქნება, მოვკვდები,
მივებარები მიწასა,
გულსა და გრძნობას შაურევ
ცივის სამარის ქვიშასა...
ჩემ გულსა დაეხვევიან
გამმაგებულნი ჭიანი,
ვეღარას მიშველს ქვითინით
ჩემი ლამაზი თმიანი.
ტყუილად აშფოთდებიან
ჩემნი წაწალნი იანი.
ამაოდ ჩამოსხდებიან
ცრიდამ ვარსკვლავნი ბარადა,
ასტეხს გლოვა-ზარს მდინარე;
მოსქდება კლდისა ნაპრალი,
ჩაიქედება ჭალადა...
ვაჰმე, მათ ვეღარა ვნახავ
გადაქცეული მკვდარადა.

24 მაისს საღამოს, როცა ცენზორისაგან რედაქციაში საცენზურო ფურცლები დაგვიბრუნდა აღმოჩნდა, რომ ლუკა ისარლოვს ამ ლექსში დასაწყისი სიტყვა „ერთხელც“ ამოეშალა. რადგან ლექსი დამახინჯებული იყო, ილიამ დამავალა ეტლით წავსულიყავ ისარლოვთან და მეთხოვნა, რომ ამ ამოშლილ სიტყვის დაბეჭდვის ნებართვა მოეცა. რედაქცია ამ დროს ნიკოლოზის, აწ კალინინის ქუჩაზე საგინაშვილის სახლში იმყოფებოდა და ლუკა ისარლოვი კი სცხოვრობდა ძველ ბებუთოვის ქუჩის ბოლოში, პურის მოედანთან. საღამოს ათი საათი იქნებოდა, როდესაც ისარლოვთან შევედი, იგი აბაზანში მჯდომარე დამიხვდა. ისარლოვი მომცრო ტანის კაცი იყო, მოკლე ხელ-ფეხიანი, ლიპიანი, მელოტი და ლოყები თურაშაულ ვაშლსავით მუქი წითელი ჰქონდა. როდესაც ლაპარაკობდა, სახეს საშინლად ჰმანჭავდა. ერთი სიტყვით, ცოცხალი საბუთი იყო დარვინის თეორიისა. როდესაც გამოვუცხადე ჩემის მისვლის მიზეზი მრისხანედ დაიძახა:

— რას ლაპარაკობთ, მაგის დაბეჭდვა ყოვლად შეუძლებელია, ეგ ღვთისა და სარწმუნოების წინააღმდეგია. ვილაცა ფშაველია, ორჯელ ხომ არ უნდა სიკვდილი. ერთხელ უნდა მოკვდეს, ბევრჯელ სიკვდილი ვის გაუგონია?

ბევრი ვეღრიჯე, მაგრამ ჩემმა თხოვნამ ამაოდ ჩაიარა და დაუკმაყოფილებელი გამოვბრუნდი. როდესაც ეს ამბავი ილიას ვუამბე, ეს საზოგადოდ დიდად მძიმე და დინჯი კაცი ფეხზედ წამოვარდა, საშინლად გაწიწმატდა და ორივენი იმავე ეტლით ისევ ისარლოვის სახლის კარებს მივადექით. საინტერესო სანახავი იყო ისარლოვისა და ილიას

ხანედ დამიხვდა, ილიას დანახვაზე მთლად მოიკუნტა, შეიკუმშა და ერთი ორად დაპატარავდა. სალამის შემდეგ ილიამ უთხრა:

— აბა, ლუკა, შენ ჭკვიანი კაცი ხარ... ჭკვიანი რომ არ იყო, რუსეთის მთავრობა ცენზორად არ დაგნიშნავდა... მაგრამ აბა ერთი მიბრძანე, რომელი ჭკვათა-მყოფელი კაცი დაამახინჯებს ასე ლექსს და ასეთ უდანაშაულო სიტყვას ამოშლის... აბა აქ ისეთი რა სწერია. პოეტი ამბობს, რომ ერთხელც იქნება მოვკვდებიო, მაშ რა უნდა ეთქვა, ორჯერ მოვკვდებიო ხომ არ იტყოდა.

ერთი სიტყვით ილიამ სწორედ იმავე ლოგიკურ მოსაზრებით დაუწყო დავა ისარლოვს, რომელიც იმან ჩემთან ლაპარაკის დროს გამოიყენა. შემკრთალმა ისარლოვმა თითქმის მუდარით უპასუხა:

— რა ვქნა, კნიაზო, მაგ ლექსის წინააღმდეგი მეც არა ვარ, მაგრამ მაგას ექზარხოსი მიაქცევს ყურადღებას და ერთი ხათაბალა ამიტყდება, სამსახურში აღარ დამაყენებენ. შესცვალეთ როგორმე ეგ სიტყვა და მე ხელს მოვაწერ.

ილიას შეებრალა შეშინებული ისარლოვი და რომ ვერაფრით დაიყოლია, თითონ იმასვე ჩააწერინა: „ერთხელც“-ის მაგივრად „როცა“ და ამ რედაქციით დაიბეჭდა კიდეც ეს ლექსი გაზეთში.

ეს ამბავი, რა თქმა უნდა, აღარ ეცოდინებოდა ვაჟა-ფშაველას თხზულებათა რედაქციას, ამიტომ ეს ლექსი ამ სახითვე დაუბეჭდია. (იხ. ვაჟას თხზულებათა პირველი ტომი, სახელგამის გამოცემა, გვ. 8) და მხოლოდ წიგნის ბოლოს შენიშვნებში აღუნიშნავს, რომ გაზეთ „ივერიის“ ამ ნომრის ვაჟასეულ ეგზემპლარში ლექსის პირველი სიტყვა ვაჟას ხელით არის გადასწორებული „ერთხელც“-ო. როგორც დავრწმუნდით ვაჟას ეს სიტყვა შემდეგ კი არ გადაუსწორებია, იმთავითვე ჰქონდა „ერთხელც“ ნახმარი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ილია საზოგადოდ დიდის აზრისა იყო ვაჟა-ფშაველაზედ და დიდად სცემდა თაყვანს იმის ნიჭს, რაღა თქმა უნდა, რედაქციის თანამშრომელთაც ვაჟა ნიჭიერ მწერლად მიაჩნდათ, მაგრამ ილიას აღტაცებას გადაჭარბებულად სთვლიდნენ და არ იზიარებდნენ, მით უმეტეს რომ ილია იტყოდა ხოლმე, — ვაჟას შემდეგ მე ლექსების წერა აღარ შემიძლიაო. აი, ერთი ამისი მაგალითიც: 1893 წელს 10 დეკემბერს ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა ალექსანდრე ყაზბეგი. ამ დროს ივერიის რედაქციაში გამგედ იყო განსვენებული დავით ალექსანდრეს ძე მიქელაძე (მეველე), იმ დღეს რედაქციაში რომ მივედი, დავითმა გადმომცა ყაზბეგის გარდაცვალების ამბავი, რამაც ძალიან დამაღონა, რადგან თუმცა ბოლო დროს ალ. ყაზბეგი სულით ავადმყოფი იყო, მაგრამ მე იმას 1882 წლიდან კარგად ვიცნობდი და ერთმანეთთან დიდად დაახლოვებული ვიყავით. დავითმა მთხოვა, ყაზბეგის გარდაცვალების გამო ლექსი დაწერე რამეო. მე მაინც და მაინც ჩემი თავი პოეტად არ მომქონდა და უარი განვაცხადე, რა უნდა დავწერო-მეთქი. ჩამაცივდა, მოახერხებ რასმეო, მთა მთასა ჰკარი, ხმელეთი ზღვას და რაცლო გამოვაო. იმდენს მელაპარაკა, რომ მართლაც რედაქციაშივე ლექსი დამაწერინა: ამ ამბის უკეთ დასასურათებლად მომყავს ეს ლექსი; რომელიც ყაზბეგის ცხედარის ტფილისიდან სტეფან-წმინდაში გასვენების დღეს დაიბეჭდა გაზეთში (იხ. „ივერია“ 1893 წ. № 276) კენტის ფსევდონიმით.

ბუნების გლოვა.

მთანი ბურვილან თოვლითა
და მაღლით იცრემლებიან;
დაბლით ხევ-ხევნი მის ცრემლსა
სვამენ და ვერა ძღებიან.
თერგი მრისხანებს, ბობოქრობს
და სევდით აზვირთებულა;
ზვავნი თავს ვეღარ იჭერენ,
ერთურთზედ შეხეთქებულა.
მთა-კლდეს ჩაუცვამს ძაძანი,
გულს ნისლი ჩაუხვევია,
შუბლ-შერჭმულს მყინვარს
საკინძე ჩაუხევია...
ქვას და კლდეს გულით ნაე
კურცხალი დასწვეთებია;
წუხილით პირსა იხოკენ
შავი და ბნელი მთებია.
ბუ კლდის ნაპრალში გაჰბუის
არწივი წივის გლოვასა,
რქებ-დამტვრეულსა ძრწოლა
ირმის და ჯიხვის ხროვასა.
ოთხ-კუთხივ ზათქი გაისმის,
ვართ ვაჟას მგლოვიარეთა;
ბარო, მთას დაბადებული
აქვე მთას მოგვაბარეთა.
ვაი, გაცუდდა ვაჟაი
კლდე-გული, სიტყვა მეხია,
ვაი მის ჩარჩანს, აპჯარსა,
კალამს, წვერი რომ სტეხია.

დავით მიქელაძემ, (რომ
დროს თავის შვილით ი
რედაქციის ბინაში სცხოვრ
იმის შვილს ივერიკო იმიტ
ქვეს თურმე, რომ ილიას
იყო), როდესაც ჩემი ლექსი
ხა, თავის ხელით ცალკე
გადასწერა და ილიას სახლ
ნა. დავითს თან გაჰყვა
რომელიც ამ დროს 16-17
იყო და ეს ამბავი, რასაკ
კარგად ეხსომება.

დავითმა მიუტანა თურმ
ილიას და ასე მიჰმართა.

— ილია, ეს ლექსი
მოგვივიდა და არ ვიცი,
თუ არაო.

— აბა წამიკითხე,
ილიამ და როდესაც ლექ
ნა, წამოიძახა თურმე: —
დავით, ხომ გითხარი, ვაჟ
კალამი აღარ ამეღება.

დავითმა ჩაიცინა თურმე:

— ქე მოგატყუე, ილია,
ტემმა დაწერაო.

მაგრამ ილია ისეთი კაც
რომ ადვილად შეეშფოთებ

— ვისაც უნდა დაეწე
კი-ო-და, სთქვა თურმე.

ეს ამბავი კიდევ ერთხელ
ცებს, რა ძლიერ იყო გა
განსვენებული ილია ვაჟა-
ნიჭით.

ტფილისის წვიმა

ილო მოსაშვილი

შეაკანკალა, დაეცა ხიდებს
მზე და ქედებზე ჩამოწვა მწუხრი
ლეგა ღრუბლების დაკიდულ კიბეს
ღამემ მგელივით დაადგა მუხლი.

და ძირს დაუშვა შავი აფრები,
და ჩამოყარა ცაში ნაცარი,
მერე ნახშირის მტვერში დაფერილს,
შემოუჭირა ელვის ბაწარი.

წვიმა შხუის და ვარსკვლავებს
დაფქულს,
ტოტებზე ჰკიდებს ქიქის წკარუნით,
ტაბახმელიდან მოვარდნილ ზაფხულს,
ტფილისის თავზე გააქვს თქარუნი.

თითქო მოადგა შავი ნახირი
ოქროყანაზე გაშლილ ჯეჯილებს.
აუშვეს ხარი და ცა ძახილით
მეხის ნახევებს დაავლეჯინეს.

აუშვეს ხარი და რქის ფიწალზე
ლურჯი ღრუბელი აუფრიალეს,
ღრუბლის ნაგლეჯი გდია მიწაზე
და ფოთოლივით ტოტზე ტრიალებს.

წვიმა შხუის და ცეცხლიან შუბზე
მოაფრიალებს ღამეს მხედარი,
მოსწყდება ცას და გაწყვეტილ შუქზე
ელვის ნამტვრევებს კენკავს ქედანი.
ელვა მოუძლვის მოვარდნილ ღვარებს,
ხამას არაგვში ცურავს ქალაქი,
კარი გაუღეთ შირაქის ფარებს,—
შუა ქალაქში სძოვონ ბალახი.

კარი გაუღეთ, მოსულან კიდეც:
თავთუხის ყანებს, ვაზებს, ხეხილებს,
სავსე ურმებით მოადგნენ ხიდებს
და დირეები ჩაატეხინეს.

წინ შეეგებეთ, წვიმაში გადით,
შფოთიან მტკვარში ჩასძახეთ თევზებს,
მებადურები მოდიან ბადით
და კალმახები უსხედან მხრებზე.

რა გენაღვლებათ, იწვიმოს ასე,
ძვლები გაუთბოს მძინარე მადნებს,
ღრუბელს ღრუბელი ჩამოსწყდეს ცაზე
და თბილს მიწაზე რძესავით გადნეს.

მერე მიყუჩდეს. ბნელი ღამისა
სადმე დაეგდოს წვიმანასვამი
და განთიადი ოქროყანისა,
ქალაქს დაადგეს მწიფე ძნასავით.

1936—ივნისი.

საღამო

კოლაუ ნადირაძე

ამა საღამოც აშრიალდა მშვიდი დასთნო.
ჰქრება ნელ-ნელ ელვარება ზაფხულის დღისა.
გაფანტულ ღრუბლებს მზის სხივები სივრცეში ადნობს
და ბუტბუტებენ დაბურვილი ფოთლები ხისა.

კიდევ წუთი და აინთება ცაში ვესპერო,
დაიყურსება ვარსკვლავების მტევნებით ღამე.
თითქოს მათ სურდეთ სიმაღლიდან მიწას ეფერონ
და ადამიანს მოაფინონ ზეცის სიამე.

ამაღლდი სულო, შეუერთდი შენც ამ სამყაროს,
დაჰგმე წუთიერ და წარმავალ გრძნობათა ზრახვა,
რომ ეზიარო ჰარმონიის ღაუშრეტ წყაროს,
რომ ჰპოვო სიბრძნე იმ ფოთოლშიც ხეზე რომ გახმა.

1936 წ.

სალიტერატურო წრის წევრთა შეკრება

ივლისის შუა რიცხვებში მწერალთა სასახლეში მოწვეულ იქნა სალიტერატურო წრეების წევრთა მეორე საქალაქო შეკრება. შესავალ სიტყვაში ამხ. დ. დემეტრაძემ აღნიშნა სალიტერატურო წრეების მნიშვნელობა ლიტერატურული საკითხების ფართო მასებში გატანის საქმეში და დასახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებებ. მასობრივი ლიტერატურული მოძრაობის გაშლისა და უფრო მაღალ საფეხურზე აყვანისათვის.

მასობრივი ლიტერატურული მუშაობის საკითხებზე მოხსენება გააკეთა ამხ. სიმონ წვერავამ.

ამხ-ებმა ვ. გაფრინდაშვილმა და ვასო გორგაძემ გაარჩიეს ტფილისსა და კოლმეურნეობებში არსებული წრეების წევრთა მხატვრული შემოქმედება.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მასობრივ ლიტერატურული მუშაობა, წინა წლებთან შედარებით, ფართოდ გაიშალა. ტფილისში 5 წრის მაგიერ უკვე 14 წრეა ჩამოყალიბებული. რაიონებში მოწყობილია 66 საკოლმეურნეო წრე. ფაბრიკა-ქარხნებსა და კოლმეურნეობებში იმართება სალიტ. საღამოები, ეწყობა მხატვრული ლიტერატურის მკითხველთა სარაიონო კონფერენციები, ზოგიერთ რაიონში კოლმეურნეთათვის შემოღებულია ლიტერატურული მინიმუმი და სხვა.

გარდა ამისა, სათანადო ყურადღება ექცევა შემოქმედებითი კადრების გამოვლენებას და მათთვის დახმარების საქმეს.

მაინც უნდა ითქვას, რომ მასობრივ ლიტ. მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზი გვაქვს. ამის შესახებ ილაპარაკეს შეკრებაზე გამოსულმა წრეების წევრებმა.

პროფკავშირები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სალიტერატურო წრეებისა და საერთოდ მასობრივ ლიტერატურულ მუშაობას. ფაბქარხადგილკომები და ხშირად ზემდგომი პროფორგანოები ამჯობინებენ ადგილობრივ იყოლიონ საცეკვაო წრე ან სასულე ორკესტრი, ვიდრე ლიტწრე. „სასულე ორკესტრი უფრო გამოჩნდება მუშაობაში", ამბობენ პროფმუშაკები. ხშირად ლიტწრეს ხელს უშლიან მუშაობაში, ხელმძღვანელს ჯამაგირს არ აძლევენ, არ უთმობენ ბინას სამეცადინოდ, ზამთარში ცივ ოთახში ამეცადინებენ და სხ. ასეთი უგულებელყოფა წრის წევრებს ინტერესს უკარგავს მუშაობისადმი, არღვევს წრეს და სხვა.

გარდა ამისა, ლიტსაღამოები ხშირად ყოველგვარი სისტემისა და წინასწარი სამზადისის გარეშე იმართება.

მასობრივი ლიტ. მუშაობის დეფექტად უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ დღემდე ფაბრიკა-ქარხნებში არაფერი გაკეთებული რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის იუბილეების გარშემო. ჩვენ ვწერდით, რომ ამ იუბილეებისათვის მზადების დროს გამოყენებულ უნდა იქნას რუსეთის გამოცდილება (სამზადისი პუშკინის სადღესასწაულო დღეებისათვის).

გარდა ამისა, მწერალთა კავშირის მასობრივი სექტორი პროფკავშირებთან ერთად მეტ ყურადღებას უნდა აქცევდეს მხატვრული წიგნის ფართო მასებში გატანის საქმეს. უნდა ვიცოდეთ, რას კითხულობს მუშა, რა აინტერესებს, რა წიგნს არ კითხულობს, რატომ არ კითხულობს და სხვა. მკითხველთა კონფერენციებს ამ შემთხვევაში დიდი საქმის გაკეთება შეუძლიათ (ცალკეული მწერლების შემოქმედების გარშემო, ცალკეული მხატვრული წიგნების გარშემოც კი და სხვა).

მასობრივი მუშაობის დარგში მრავალია ისეთი ფორმა, რომლის გამოყენებაც ხელს შეუწყობს ლიტერატურული საკითხების ფართო მასებში გატანას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელი სალიტ. წრეებში ცდილობს უსათუოდ აღმოაჩინოს შემოქმედებითი კადრები. სალიტერატურო წრე უპირველეს ყოვლისა უნდა ზრდიდეს კულტურულ მკითხველს, ლიტერატურის მოყვარულ ამხანაგებს. მაინც და მაინც არ არის სავალდებულო, რომ ყოველ წრეში უსათუოდ რამდენიმე პოეტი ან პროზაიკოსი აღმოჩნდეს.

იმ ამხანაგებს, რომლებსაც მართლადაც აქვთ წერის სურვილი და უნარი, მეტი დახმარება უნდა აღმოუჩინოთ. მათ ინდივიდუალური კონსულტაცია უნდა გავუწიოთ.

ყველა ამ ხარვეზის ამოსავსებად უნდა იბრძოლოს მწერალთა კავშირის მასობრივმა სექტორმა პროფკავშირებთან ერთად.

რა თქმა უნდა, ჩვენი გაზეთიც მოწოდებულია ყოველდღიური პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინოს მასობრივ სექტორს მასობრივი ლიტმოძრაობის გაშლისა და გაუმჯობესების საქმეში.

ყველა ზემოაღნიშნული დეფექტი უნდა გაითვალისწინოს იმ კომისიამ, რომელიც აირჩია შეკრებამ მასობრივი ლიტერატურული მუშაობის დარგში სათანადო ღონისძიებების გამოსამუშავებლად.

„ახალი მიწა"

ფრანგულმა გამომცემლობამ „მონდომა" პარიზში გამოუშვა ფრანგი ჟურნალისტის **შარლ ონეის** წიგნი— „ახალი მიწა".

ჟურნალისტი ონეი შარშან საბჭოთა კავშირს ესტუმრა. მან საქართველოც დაათვალიერა. წიგნი „ახალი მიწა" ამ მოგზაურობის შედეგს წარმოადგენს.

„ახალ მიწაში" ონეი საგრძნობ ადგილს უთმობს ქართველი ხალხის მიღწევებს უკანასკნელი წლების მანძილზე.

ერთ ადგილას ონეი სწერს:

„ერთ-ერთმა საბჭოთა მოღვაწემ სთქვა—რევოლუციამ ჩემი ხალხი ერთი ორად აამაღლაო.

ჩემის აზრით, იგი სწორად არ ანგარიშობს. რევოლუციის მიერ განთავისუფლებულმა ყოფილი რუსეთის ხალხებმა მიიღეს ისეთი შემოქმედებითი შესაძლებლობა,—ისინი ამას ახლა ამტკიცებენ საქმით, — რომლის შესახებ კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე არც კი უოცნებია ვისმე".

მეორე ადგილას ონეი სწერს:

„ამიერ-კავკასიასა და საქართველოში დიდი ნდობა და სიყვარული აქვს დამსახურებული სტალინის ერთ მოწაფეს—ლავრენტი ბერიას. იგი მძლავრ პარტიულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს და ყოველდღიურად ამჟღავნებს ნამდვილი ხელმძღვანელის თვისებებს. როცა ეცნობით ამ მუშაობის მოცულობასა და მრავალფეროვნებას, რომელსაც ისეთი ადამიანები ეწევიან, როგორც ბერია, განცვიფრებული რჩებით მათი შრომის უნარიანობით. მათი შედარება ჩვენი პარლამენტის მოღვაწეებთან არ შეიძლება. ეს შედარება ჩვენთვის სასარგებლო არ იქნება".

შარლ ონეის წიგნის მოკლე თარგმანს ამზადებს და ახლო ხანში გამოუშვებს მოსკოვის სახელმწიფო ლიტერატურული გამომცემლობა.



ამხ. სტალინი, კეცხოველი, წულუკიძე, შაუმიანი, ა. ჯაფარიძე, ზ. ჩოდრიშვილი, მ. ბოჭორიძე.
მხატ. ი. ვეფხვაძე.

აფხაზეთში

ლიტერატურული ფურცელი

აფხაზეთის რუსული გაზეთის „Советская Абхазия"-ს 18 ივლისის ნომერში ერთი გვერდი დათმობილი აქვს ლიტერატურულ საკითხებს.

ლიტერატურულ გვერდში მოთავსებულია გიორგი გულიას, ლ. კვაცხიას, ბ. შინკუბას მხატვრულ ნაწარმოებთა თარგმანები და გ. ბგაჟბას ბიბლიოგრაფია კრებულზე „აკომჩარი".

გარდა ლიტერატურული მასალისა, ლიტერატ. გვერდში მოთავსებულია გ. გულიას სურათი: „აფხაზები ცეკვავენ".

გაზეთმა „Советская Абхазия"-მ სწორად გამოიყენა ცენტრალური გაზეთების გამოცდილება. საჭიროა მხოლოდ, რომ ლიტერატურული საკითხები გაზეთმა სისტემატიურად გააშუქოს. კარგი და აუცილებელი იქნებოდა, რომ ლიტერატურულ გვერდში გაზეთი გააშუქებდეს მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურულ საკითხებსაც.

შემოქმედებითი მივლინებები

აფხაზეთის საბჭოთა მწერლების კავშირი მიმდინარე წელს ფართოდ იყენებს მწერლების შემოქმედებით მივლინებებს.

ახლა აფხაზეთის რაიონებში მივლინებული არიან ლ. ლაბახუა და ხ. ბჟანია. კიევის ოლქის ერთ-ერთ კოლმეურნეობაში გაგზავნილ იქნა ნ. მიქავა. ახალგაზრდა მწერლები გ. გულია და ბ. ქვანია მუშაობდნენ საბჭოთა მეურნეობაში „III ინტერნაციონალი" გარდა შემოქმედებითი მუშაობისა, იქ მათ დააარსეს ლიტერატურული წრე.

შინკუბა და კვიცინია ამ დღეებში გაემგზავრებიან ჯერ ტფილისში და შემდეგ აფხაზეთის რაიონებში.

შემოქმედებითი მივლინება, თუ იგი ხანგრძლივი არ არის, ნაკლებ შედეგებს იძლევა. მწერალი დეტალურად უნდა ეცნობოდეს ახალ ადამიანებს, მათ ყოფაცხოვრებას, გარემოს, რომელშიაც მწერალს ყოველდღიური საქმიანობა უხდება. ორი-სამი დღით მივლინებული მწერალი, რაც უნდა კარგი ოსტატი იყოს იგი, საგულისხმოს ვერაფერს შეიძენს. ამიტომ საჭიროა მწერალთა კავშირის პრაქტიკიდან აღმოიფხვრას ექსკურსიის მაგვარი შემოქმედებითი მივლინებები.

ახალი ლიტერატურული წრეები

აფხაზეთის მწერალთა კავშირმა გაშალა მასობრივი ლიტერატურული მუშაობა. რაიონებში სისტემატიურად არსდება ახალი ლიტწრეები. ახლახან ჩამოყალიბდა ლიტწრე საბჭოთა მეურნეობებში „ილიჩი" (სოხუმის რაიონი) და „მესამე ინტერნაციონალი" (გაგრის რაიონი) და ტყვარჩელში (აკარმარა და ტყვარჩელის ჰიდროელსადგური).

გარდა ამისა, კავშირი ლიტერატურული საკითხების გარშემო აწყობს ლექციებსა და საუბრებს. ლექციები ტარდება მწერალთა კავშირის ძალებისა და პედინსტიტუტის პედაგოგების საშუალებით საბჭოთა მეურნეობებში, დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში.

აფხაზეთის მწერლები რუსულად

აფხაზ მწერალთა ნაწერების თარგმნის ორგანიზაციას უკვე შეუდგა მწერალთა კავშირის რუსული სექცია. ივლისის შუა რიცხვებში შესდგა ავტორებისა და მთარგმნელების პირველი თათბირი. განზრახულია რუსულად გათარგმნოს როგორც თანამედროვე მწერლების, ისე აფხაზური ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშები.

ახალი წიგნები

აფხაზეთის სახ. გამომცემლობა ცალკე წიგნად სცემს გ. გულიას მოთხრობას „შურისძიება". წიგნი უკვე იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა.

მზადდება გამოსაცემად ალმანახის მესამე წიგნი. ძირითადი ადგილი დათმობილი აქვს აფხაზ მწერლების თხზულებათა თარგმანებს.



არალეგალური კრება ხოჯევანქის სასაფლაოზე ამხ. **სტალინის** ხელმძღვანელობით.
მხატ. ალ. გიგოლაშვილი

უცხოელი მწერლები

საბჭოთა კავშირის წიგნის ტექნიკის შესახებ

მაისის დამდეგს რუსეთის სახელმწიფო ლიტგამომცემლობამ უცხოელ მწერლებს ტომას მანს, რომენ როლანს, ანდრე ჟიდს, ანდრე მალროს, ფეიხტვანგერს, დოს-პასოსს, დრაიზერს, ანდერსენ-ნექსეს გაუგზავნა რამდენიმე ამანათი წიგნებით. ამ ამანათებში იყო პუშკინის ერთტომეული, ფედინის რომანი „ევროპის მოტაცება", მაიაკოვსკის ერთტომეული, რომენ როლანის „კოლა ბრენიონი", რეგლერის „პური, წყალი და ვაზები", სენდერის „დანაშაულის ადგილზე". რომენ როლანს, ანდრე ჟიდსა და ტომას მანს დამატებით გაეგზავნა წიგნები ლიტმცოდნეობის საკითხებზე.

ლიტგამომცემლობამ საზღვარგარეთიდან მიიღო საპასუხო წერილები, რომლებშიც მწერლები გამოსთქვამენ კმაყოფილებას გაგზავნილი ამანათების გამო და აღნიშნავენ საბჭოთა კავშირში წიგნის მაღალ ტექნიკას.

„ვეფხის-ტყაოსანი" რუსულად

ტფილისში მიღებულ იქნა გამომცემლობა „აკადემიის" მიერ გამოშვებული „ვეფხის — ტყაოსნის" ბალმონტისეული თარგმანი.

სულ მიღებულია 1.000 ცალი წიგნი, აქედან 500 ტფილისისათვის, ხოლო 500 ქუთაისისა, ბათომისა და სხვა ქალაქებისათვის.

წიგნი იყიდებოდა რუსეთის სახელგამის მაღაზიაში (რუსთაველის პრ № 16). ერთი საათის განმავლობაში ასზე მეტი წიგნი გაიყიდა.

„ვეფხის - ტყაოსანი" რუსეთის სახელგამის წიგნის მაღაზიის გარდა გაიყიდება ა.-კ. სახელგამის, „ტექნიკა და შრომას" და საქართველოს სახელგამის მაღაზიებში, აგრეთვე დახურულ წერტებში.

წიგნი შესანიშნავად არის გამოცემული და ღირს ყდით 40 მანეთი.

ისტორიული რომანის პრობლემა

შალვა რადიანი

სტორიული პროზის ზრდა საბჭოთა ტერატურაში უდავო ფაქტია. უკანასკნელ წლებში ქართულ ლიტერატურაში ოქვეყნდა საკმაო რაოდენობის მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც ეხებიან სულს, ისტორიას. მიხ. ჯავახიშვილის სენა მარაბდელი", შ. დადიანის „უბერი რუსი" და „ურდუმი", კ. მ. საყვაძის „დაფანტული ფურცლები", „ექან გზაზე", „ქვა და რკინა" და „უკაკნელ გადასახედზე", ნ. ლორთქიფანი- „მილიკებიდან ლიანდაგზე", ლ. ქიის „სისხლი", კ. ჩხიკვაძის „ნაბიჯე-", და „მურზაყან დადეშქელიანი", ა. თაველის „პირისპირ", ბ. ჩხეიძის „დღე-", დ. სულიაშვილის „ნალევრდალი" და . წარმოადგენენ ჩვენი წარსული ცხოვბის სხვადასხვა პერიოდების მხატვრულ შუქებას. ისტორიული რომანების ასეთი ოდენობით გამოქვეყნება არ არის შემთხვევითი. ამ ნაწარმოებთ პრინციპული შვნელობა აქვს მთელი საბჭოთა ლიტეტურისათვის. ისინი იძლევიან საკმაო ალას იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ, თუ გორია ისტორიული რომანის, როგორც ნრის, ადგილი საბჭოთა ლიტერატურაში. გორია საბჭოთა ისტორიული რომანის ები და პერსპექტივები.

საბჭოთა ლიტერატურაში ისტორიულ ომანს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. იგი ამედროვე ლიტერატურის შემადგენე- ნაწილია. თავისთავად ცხადია, ჩვენ ვიქნებით ამ ჟანრის უარმყოფელი, გორც ამას ამ რამდენიმე ხნის წინათ ითხოვდა კარლო მელაძე: „... ქართულ ნამდვილში ქართველი მწერლების მნიშვნელოვანი ნაწილი გაურბის რევოლუციის თემატიკას, სამაგიეროდ თავს არენ „**არსენა მარაბდელის**" და **ნადირეთა თავშესაქცევ თემ**ბს". (ხაზგასმული ავტორისა. შ. რ.). საკვირველია, ისტორია „თავშესაქცევი" ამ არაა. ჩვენ სრულებით არა ვართ ინტერესებული ისტორიის გაყალბებით, ან მის „ესთეტიურ" შეფერადებაში, ნაიდან ისტორია ჩვენს საკეთილდღეოდ ამობს; ასევე, ჩვენ ვერ გავიზიარებთ რც სერგო კლდიაშვილის მიერ, ამას ნათ მწერალთა სასახლეში გამართულ სკუსიაზე, გამოთქმულ მოსაზრებას, ამ ისტორიული რომანი მხოლოდ და ლოდ ბავშვებისათვის საჭირო ჟანრია.

ისტორიული მატერიალიზმის თანახმად რსულის შეცნობა სრულიად შესაძლელია, მაგრამ ეს შეცნობა კლასობრივად ნსაზღვრულია. ის, რომ სხვადასხვა ასის მწერლები ამა თუ იმ ისტორიულ ოქას და მოვლენებს სხვადასხვანაირად ავენ, ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ არა ობიექტურ სამყაროს სხვადასხვაობაში", ავედ კლასობრივი ინტერესების განსხვაულობაში. მწერალი ისტორიას არ მიოავს „გულგრილად", „განურჩევლად". გარკვეული კლასობრივი კანონზომიერება მოქმედობს. ყოველი კლასის მწერალი ისტორიიდან შერჩევით იღებს ისეთ ფაქტებს, რომლებიც შესატყვისია მისი კლასობრივი მსოფლმხედველობისა.

წარსული მრავალი მწერლისათვის იყო „დამშვიდების" და თანადროულობის „შეურაცხყოფისაგან თავდაცვის" საშუალება. ფრ. ენგელსი სწერდა: „ყველა იდეები, რომლებიც გამოვიდნენ სამოქმედო ასპარეზზე კარლოს დიდის დროიდან, ყველა გემოვნებანი, რომლებმაც ხუთი საუკუნის განმავლობაში შეავიწროვეს ერთმანეთი, ცდილობენ დაიბრუნონ თანადროულობაში თავიანთი დაკარგული უფლებები. საშუალო საუკუნეების ფეოდალიზმი და ლიუდოვიკ მე-14-ს აბსოლუტიზმი, რომის იერარქია და წარსულ საუკუნეების პოეტიზმი ერთმანეთს ეჯიბრება თავისუფალი აზროვნების მოსპობაში". მაგრამ წარსულისადმი მიმართვა ყოველთვის არ ატარებდა რეაქციულ ხასიათს. ამომავალი ბურჟუაზია და მომაკვდავი თავადაზნაურობა სხვადასხვაგვარად უდგებოდა ისტორიას. დამარცხებული ფეოდალიზმის დამცველები წარსულს ხვევდნენ რომანტიზმის ნისლში. ამ მიმართულების წარმომადგენელი მწერლები თავიანთ ამოცანად სრულიად არ ისახავდნენ წარსულის სრულყოფილ მხატვრულ გამოხატვას; ამომავალი ბურჟუაზიაც დიდი ინტერესით იცქირებოდა წარსულისაკენ. თავისი ეკონომიური და პოლიტიკური ძალების განმტკიცებისათვის იგი ისტორიაში ეძებდა დასაყრდენს და აცოცხლებდა აქტიურ, მებრძოლ პიროვნებათა სახეებს. სწორედ ამის მიხედვით იყო თავადაზნაურობისათვის ისტორია უკან დასახევი გზა, ხოლო ბურჟუაზიისათვის — განმტკიცებისა და გაძლიერების საშუალება.

რით განსხვავდება ისტორიული რომანი არა ისტორიულისაგან? თავი რომ დავანებოთ მასალის სხვადასხვაობას, მნიშვნელოვან განმასხვავებელ თვისებად ისტორიული რომანისათვის იქნება ის, რომ მასში სიტუაციები ნამდვილია და პერსონაჟების ნაწილი წარმოადგენს ე. წ. ისტორიულ პიროვნებებს, რომელთაც ეწოდება საკუთარი სახელები. რომანი სწორედ ამ ნაწილის ანგარიშში ღებულობს ისტორიულის სახელწოდებას. რასაკვირველია, არსებობს ისტორიული რომანის ისეთი ვარიანტიც, რომელშიაც ყველა პერსონაჟი ზუსტად ისტორიულია და ყველა სახეს ჰყავს თავისი პროტოტიპი. ეს უკვე ისტორიული რომანის სრულყოფილი სახეა.

რომანი, როგორც ლიტერატურული ჟანრი, ტიპიურია ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის. მართალია, რომანები გვაქვს უფრო ადრინდელი ეპოქების ლიტერატურაშიაც (ანტიური და საშუალო საუკუნეების ლიტერატურა, აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურა და სხვ.), მაგრამ იქ მას მეორე და მესამეხარისხოვანი ადგილი ჰქონდა მიკუთვნებული, ბურჟუაზიული ლიტერატურისათვის კი რომანი წარმოადგენდა ძირითად, წამყვან ჟანრს. ამ საერთო სქემაში შედის ისტორიული რომანიც. რასაკვირველია, ისტორიული რომანის სათავეები ფეოდალურ ლიტერატურაშია (რომანტიკოსთა შემოქმედება), მაგრამ მისი დამახასიათებელი სახე მოცემული გვაქვს სწორედ ბურჟუაზიულ ლიტერატურაში.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში ისტორიული რომანი ითვლებოდა უმაღლეს მხატვრულ ჟანრად. იგი ცნობილი იყო, როგორც ლიტერატურის უდიდესი მიღწევა. მისი მნიშვნელობა არ განისაზღვრებოდა მარტო ლიტერატურის ფარგლებით. ისტორიულმა რომანმა ძალუმი გავლენა მოახდინა მთელ ხელოვნებასა და ესთეტიურ აზროვნებაზე.

ბურჟუაზიული ისტორიული რომანის შემქმნელი მე-19 საუკუნეში იყო **ვალტერ სკოტი**. მან წმინდა მხატვრული ამოცანების შესრულებით ამავე დროს გადასწყვიტა ისტორიულ-მეცნიერული ხასიათის ამოცანებიც. მისმა რომანებმა ხელი შეუწყო ახალი პრინციპების გამომუშავებას ისტორიოგრაფიაში. ცნობილი ისტორიკოსი **ციღმენი** უწოდებდა ვალტერ სკოტს ისტორიკოსების „საერთო მასწავლებელს". **ოგიუსტ ტიერი** თავის ისტორიულ გამოკვლევაში—„ინგლისის დაპყრობა ნორმანების მიერ"—აღიარებს, რომ მისი ნაშრომის ძირითადი აზრი ეკუთვნის ვალტერ სკოტს, რომელმაც პირველად გამოსთქვა ეს აზრი თავის „აივენგო"-ში.

მაგრამ ბურჟუაზიული ისტორიული რომანები ყოველთვის ხასიათდებოდა ანტიისტორიულობით. ამ ანტიისტორიულობის შედეგად მათში დამახინჯებული იყო ისტორიული სინამდვილე. შეიძლება ითქვას, რომ მთელი რიგი მნიშვნელოვანი რომანებისა ისტორიულ თემაზე მე-18—19 საუკუნეებში შექმნილი იყო ისტორიული მასალის დამახინჯების საფუძველზე და ამდენად ისინი წარმოადგენდნენ ფსევდოისტორიულ ნაწარმოებებს. ავტორები თავიანთი რომანების გმირებად ჩვეულებრივად ირჩევდნენ ისტორიულ პირებს, მეფეებს, მთავრებს და სხვ. მაგრამ ასეთ რომანებში, გარდა რამდენიმე სახელისა, არაფერი არ იყო ისტორიული. კიდევ მეტიც, მათი ავტორები ამახინჯებდნენ ისტორიას. ისინი არ თაკილობდნენ, რომ მათი გმირები არ უდგებოდა არც ერთი მხრით იმ ისტორიულ პირს, რომლის სახელსაც იგი ატარებდა.

ასეთი რომანების ავტორების ამოცანა მდგომარეობდა არა ისტორიულ სიზუსტეში, პირიქით, ისტორიული პირები, რომლის სახელსაც ისინი უწოდებდენ თავიანთ გმირებს, მათ ესაჭიროება იმისათვის, რომ მოქმედება მოეშორებიათ რეალური სინამდვილისათვის და ჩაეყენებიათ ისეთ პირობებში, სადაც მათ ფანტაზიას სრული გასაქანი ექნებოდა, სადაც ინტრიგებსა და ამბებს განავითარებდნენ ისე, როგორც ეს მათ მოესურვებოდათ.

ისტორიისადმი ასეთს დამოკიდებულებას სანქცია მისცა ჯერ კიდევ **ლესინგმა**, რომლის გაგების თანახმად არ არის არსებითი ისტორიული ფაქტები, როგორც ისტორიული ხასიათები. მისი ფაქტები წარმოადგენენ „შემთხვევითობას". პოეტს შეუძლია ფაქტებს მოეპყრას ისე, როგორც ეს მას სურს, მხოლოდ ფაქტებისადმი ეს დამოკიდებულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ისტორიულ ხასიათებსა. სხვანაირად რომ ვსთქვათ, ლესინგი რომანისტს აძლევდა ანაქრონიზმის და სიტუაციებისა და მოვლენების გამოგონების ნებას; მაგრამ მოითხოვდა ისტორიულად სწორ დახასიათებას. ლესინგი უფრო შორსაც მიდიოდა. დასაშვებია,—ამბობდა იგი — ხასიათების დამახინჯება, მაგრამ არ შეიძლება ვპატიოთ ავტორს მხატვრული მთლიანობის უქონლობა. უკანასკნელის მოსაზრებით ლესინგი ყოველგვარ პასუხისმგებლობას ხსნიდა მწერალს ისტორიული სიცრუის ჩადენისათვის, წარსულის დამახინჯებისათვის, მხოლოდ იმიტომ, რომ ყოფილიყო ნაწარმოებში მხატვრული მთლიანობა.

ასეთი შეხედულება უაღრესად დამახასიათებელი იყო მე-18—19 საუკუნეთა მწერალთათვის. **ალფრედ დე-ვინი** „სენ-მარსის" წინასიტყვაობაში პირდაპირ აყენებდა მოთხოვნილებას მხატვრული და ისტორიული სიმართლის განხეთქილების, მათ ერთმანეთისაგან დაშორების შესახებ. ასევე **ა. დიუმა** „ეკატერინე გოვარდის" წინასიტყვაობაში სწერდა, რომ „შენრიხ მე-8—ეს ის ლურსმანია, რომელზედაც ჩამოვკიდე ჩემი სურათი"-ო. სხვა ადგილას იგივე ა. დიუმა აცხადებდა, რომ „გადადის ისტორიულ მოთხრობაზე მხოლოდ მაშინ, როდესაც შემთხვევით ისტორია ეთანაბრება რომანის დონეს".

მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში საკმაო რაოდენობის ისტორიული რომანები დაიწერა და გამოქვეყნდა. მისი სათავე მე-19 საუკუნის 50-იან წლებში გახსნა **გრ. რჩეულიშვილმა** თავისი „ქვრივის ლიმონებით", „ანუკა ბატონიშვილით" და „თამარ ბატონიშვილით" შემდეგ ხანებში ისტორიული რომანი თვალსაჩინო ლიტერატურულ ჟანრად გადაიქცა ჩვენშიც. მე-19 საუკუნის მწერალთა უმრავლესობისათვის ისტორიული რომანი გახდა თავადაზნაურულ იდეოლოგიურ პოზიციების დაცვისა და განმტკიცების საშუალებად.

მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან ისტორიული რომანის განვითარება ქართულ ლიტერატურაში არსებითად განსაზღვრა ორმა მწერალმა —**ე. ნინოშვილმა** და **ვ. ბარნოვმა**. პირველმა „ჯანყი გურიაში"-თ და მეორემ მრავალრიცხოვანი რომანებით. ამდენადვე ზემოაღნიშნულ მწერალთა ნაწერები საკმაო მდიდარ მასალას მოგვცემს ისტორიულ რომანის პრობლემების გარკვევის საქმეში, მაგრამ ეს უკვე ცალკე წერილის თემას წარმოადგენს.

მრავალი ისტორიული რომანი, რომელიც უკანასკნელ წლების მანძილზე გამოქვეყნდა ქართულ ლიტერატურაში ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ამ ჟანრს სათანადო ყურადღება ექცევა საბჭოთა მწერლების მხრივ, თუმცა იგი არ წარმოადგენს (და არც უნდა წარმოადგენდეს) მთავარ, გაბატონებულ ჟანრს.

როგორი უნდა იყოს საბჭოთა ისტორიული რომანის საერთო სახე?

როდესაც დაიწყო დისკუსია სოციალისტური რეალიზმის, როგორც საბჭოთა ლიტერატურის წამყვანი შემოქმედებითი მეთოდის, შესახებ, აქა-იქ გაისმა ხმები იმის შესახებ, რომ ეს ლოზუნგი არ ეხება ლიტერატურის ისტორიულ თემებს. თავისთავად ცხადია, საკითხის ამგვარად დასმა ნიშნავდა იმას, რომ ასეთი მოსაზრების ავტორებს არ ესმოდათ არც სოციალისტური რეალიზმის და არც ისტორიული რომანის ამოცანები. ისტორიზმი მხატვრულ ლიტერატურაში არავითარ შემთხვევაში არ არის უცხო სოციალისტური რეალიზმისათვის, პირიქით, იგი წარმოადგენს მის ერთერთ შემადგენელ მხარეს. წინააღმდეგ ბურჟუაზიული შემეცნებისა, პროლეტარული შემეცნება ხასიათდება უაღრესი ისტორიზმით. მხოლოდ ჩვენს ლიტერატურას ახასიათებს ნამდვილი ისტორიზმი და სწორედ პროლეტარიატის მსოფლმხედველობა იძლევა შესაძლებლობას შევიცნოთ ისტორიული პროცესის ნამდვილი კანონზომიერება. საბჭოთა ისტორიული რომანის არსებით ნიშანს წარმოადგენს ის, რომ იგი არა მარტო თანამედროვებით ხსნის წარსულს, არამედ ასევე, წარსულის რევოლუციური ეპიზოდებით აშუქებს თანამედროვეობას!

საბჭოთა მწერალმა სიმართლით უნდა გვიჩვენოს წარსული ისე, რომ ნათლად დავინახოთ მასში არსებული კლასობრივი წინააღმდეგობანი, გვიჩვენოს ის, რასაც ჩრდილში სტოვებდნენ თავადაზნაურული და ბურჟუაზიული მწერლები. საბჭოთა მწერალმა არა მარტო უნდა აღნიშნოს ისტორიული ფაქტი, არამედ კიდეც უნდა გაიგოს ის განვითარების პროცესში და ისე შეაფასოს, როგორც სწერს **ლენინი**: „მატერიალისტი... არ კმაყოფილდება მარტო პროცესის აუცილებლობაზე მითითებით, არამედ არკვევს თუ რომელი საზოგადოებრივ - ეკონომიური ფორმაცია აძლევს შინაარსს ამ პროცესს, თუ სახელდობრ რომელი კლასი განსაზღვრავს ამ აუცილებლობას... მატერიალისტი... არ შეჩერდება მარტო იმაზე, რომ აღნიშნოს „დაუძლეველი ისტორიული ტენდენციები". არამედ მიუთითებს განსაზღვრულ კლასების არსებობაზე, რომლებიც საზღვრავენ მოცემულ წესწყობილების შინაარსს. მატერიალიზმი არკვევს კლასობრივ წინააღმდეგობებს და ამით ნათელყოფს თავის „თვალსაზრისს"...

შემოქმედებით პრაქტიკაში, მხატვრულ ნაწარმოებში მატერიალისტისათვის სავალდებულოა გვიჩვენოს კლასობრივი წინააღმდეგობანი და ამით განსაზღვროს თავისი თვალსაზრისი. მოცემულ ემპირიულ ფაქტებს იქით მან უნდა დაინახოს მოვლენებსა და ადამიანების შორის ურთიერთობა, მოგვცეს ისტორიული პერსპექტივა. ამ მომენტს ჩვენ განსაკუთრებით უნდა გავუსვათ ხაზი, ვინაიდან ჩვენს ლიტერატურაში ისტორიულ თემებზე ხშირია „ობიექტური" დოკუმენტალიზმი და სტილიზატორობა.

საბჭოთა ისტორიულმა რომანმა უნდა გვიჩვენოს განზოგადოებულად ის, რაც იყო სინამდვილეში. ისტორიული რომანის ფუნქციაა აღადგინოს ეპოქა. ისტორიულ რომანში გამოგონილი ფაბულარული ხაზი მეორე პლანზე უნდა იყოს გადაწეული. ისტორიულ რომანში თვითონ ისტორია უნდა იყოს მთავარი გმირი. სწორედ ასეთ ნაწარმოებს ავითვისებთ ჩვენ, როგორც საბჭოთა ისტორიულ რომანს.

სოციალისტური რეალიზმი ავტორისაგან მოითხოვს ისტორიულ სიმართლეს. მებრძოლი კლასებისა და მათი ინტერესების სწორ ტიპიზირებულ გამოხატვას. სწორედ ასეთი მოთხოვნილებებით უდგებოდნენ **კ. მარქსი** და **ფრ. ენგელსი** ისტორიული ჟანრის შეფასებას, როდესაც აკრიტიკებდნენ **ფ. ლასალის** „ფონ-ზიკინგენს".

მაგრამ ისტორიასთან საბჭოთა მწერალს მაინც აქვს თავისი „ანგარიშები". იგი წარსულს ვერ მიუდგება „საერთოდ". საბჭოთა მწერალმა უნდა მოახდინოს წარსულის მასალის აქტუალიზაცია, იგი უნდა გააშუქოს თანამედროვეობით, ისტორიული სიმართლე უნდა დაუკავშიროს ჩვენს სიმართლეს — სოციალისტური ქვეყნის შენების საქმეს. თანამედროვეობის კანონზომიერების გაგების გარეშე ვერ გავიგებთ ისტორიული წარსულის კანონზომიერებას. საბჭოთა ისტორიული რომანისტისათვის ისტორია, გამოთქმული მხატვრული საშუალებებით, უნდა გახდეს ძლიერი იარაღი ახალი ქვეყნის შენების საქმეში. ისტორიული ჟანრის მწერალი შეიარაღებული უნდა იყოს რევოლუციური თანამედროვეობის იდეებით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ისტორიის თანამედროვეობასთან გამოხმაურება საბჭოთა ისტორიულ რომანებში მოცემულ უნდა იქნას არა რაიმე სახის დეკლარაციებით, არა საერთო ფილოსოფიური კატეგორიებით, არამედ რევოლუციური თანამედროვეობა წარსულის მასალებზე უნდა ავამეტყველოთ კონკრეტულ ისტორიულ კონცეპციაში. საბჭოთა მწერალმა უნდა დასძლიოს ბურჟუაზიულ - თავადაზნაურული ლიტერატურის ტრადიციები ისტორიული თემების გაგება - გათვალისწინების საქმეში. საბჭოთა მწერალს კარგად უნდა ახსოვდეს ის, რომ წარსული თანადროულობისათვისაც აქტუალურია, იგი დიალექტიურად გადადის აწმყოში. გავიხსენოთ **ა. ტოლსტოის** სიტყვები თავისი რომანის „პეტრე პირველის" შესახებ: „შეიძლება თანადროულობის გაგება გონებით, ლოგიკით, გრძნობით. მხატვარს კი თანადროულობის გაგება უნდა შეეძლოს მხატვრულ სახეებით. და ჩემი გზა „დღე"დან „პეტრე პირველამდე" არის გზა ჩვენს ეპოქასთან მხატვრულ შეზრდისა. მე მესმის ეპოქა მის მოძრაობაში და არა როგორც უმოძრაო დროს ნაგლეჯი. და ჩემის აზრით, სწორად აღნიშნა ერთ-ერთმა კრიტიკოსმა, რომ „პეტრე პირველი" — ეს არის თანამედროვეობასთან მისვლა მისი ღრმა ძირებიდან". ა. ტოლსტოის ეს სიტყვები ნიშნავს იმას, რომ მწერალს სურს თანამედროვეობა შეიცნოს ისტორიულ კანონზომიერების საფუძველზე, გაიგოს მისი აზრი ისტორიული განვითარების სისტემაში. ამდენად, ამ გაგების თანახმად, წარსული და თანამედროვეობა ორგანიულადაა ერთმანეთთან გადასკვნილი.

ისტორიული რომანის ახალი თემატიკის პრობლემა საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის ერთერთი სერიოზული მომენტთაგანია. აქ ჩვენ ვგულისხმობთ ისეთ თემებს რომლებიც ეხება მშრომელი მასების რევოლუციურ ბრძოლას.

თემატიკა ისევე, როგორც შემოქმედებითი მეთოდი, განისაზღვრება კლასობრივი ინტერესებით. ამიტომ საბჭოთა მწერლების, რომლებიც წარსულს ეხებიან, ამოცანა მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ მოგვცეს ისტორიული ეპოქის ახალი გამოხატვა, არამედ იმაშიაც, რომ გვიჩვენოს ის მოვლენები, რომელთაც გაბატონებული კლასების მწერლები საუკუნოების მანძილზე შეგნებულად ჩქმალავდნენ. საბჭოთა ისტორიულმა რომანისტმა პირველ რიგში უნდა გვიჩვენოს კლასობრივი ბრძოლა თავის უფრო დამახასიათებელ პერიოდებში.

თუ თავად-აზნაურული და ბურჟუაზიული ისტორიული მხატვრული ლიტერატურა იძლეოდა წარსულის მხოლოდ ამა თუ იმ ნიშანს, წინააღმდეგ ამისა, ისტორიული პროცესის მარქსისტულ - ლენინური გაგების საფუძველზე საბჭოთა ლიტერატურას ეძლევა საშუალება მოგვცეს წარსულის სინთეტიური სახეები, რომელთაც უდიდესი შემეცნებითი მნიშვნელობა ექნება.

საზოგადოებრივი პროცესების ცალკეულ ინდივიდუალისტურ მომენტამდე დაყვანა, რაც ნიშნეული იყო ძველი ისტორიული რომანებისათვის, არ შეიძლება გახდეს საბჭოთა ისტორიული რომანების დამახასიათებელი მხარე. ბელინსკის გამოთქმა რომ ვისმაროთ, ძველი რომანი მიძღვნილი იყო „კერძო ადამიანის ცხოვრებისადმი". კლასიკურ, ფეოდალურ და ბურჟუაზიულ ლიტერატურაში გმირს ჩვეულებრივად ხატავდნენ ინდივიდუალისტურად, სოციალური ცხოვრებისაგან გამოყოფით, ან მასთან კონფლიქტში. ინდივიდუალურის, პიროვნებისა და კლასობრივ - სოციალურის ურთიერთობაში ძველ ლიტერატურაში პრიმატი ყოველთვის ინდივიდუალურს ეკუთვნოდა. თვით ისტორიულ რომანებშიაც ბურჟუაზიულ ლიტერატურას აინტერესებდა მოვლენათა არა სოციალურ პოლიტიკური აზრი უშუალოდ, არამედ ინდივიდუალისტური, კერძო ყოფა. საერთოში, ისტორიულში იგი ეძებდა ინდივიდუალისტურს, კერძოს. „ჩვენი მდგომარეობისათვის საჭიროა კერძო პიროვნება"-ო, აცხადებდა ლესინგი, ხოლო ზოლა კი სწერდა: „ნახავენ ფორმულას, დაამტკიცებენ, რომ მეტი პოეზიაა ბურჟუას პატარა ოთახში, ვიდრე ისტორიის ცარიელ და გამოფიტულ სასახლეებში".

სოციალისტური რომანი წარმოადგენს სოციალურისა და ინდივიდუალურის ერთიანობას (სოციალურის პრიმატით). საბჭოთა მწერალი კერძოში, ინდივიდუალურში ეძებს მოვლენათა და ადამიანთა საერთო პოლიტიკურ და კლასობრივ შინაარსის გამოხატულებას.

ასეთია საბჭოთა ისტორიული რომანის პრინციპული საფუძვლები. მაგრამ როგორია სინამდვილე? როგორ უპასუხებენ ამ მოთხოვნილებებს უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული ისტორიული რომანები? მაგრამ ამის შესახებ მოვილაპარაკებთ შემდეგ წერილებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

გრ. აბაშიძე: ლექსები, პოემები, თარგმანები. გამოცემა ფედერაციისა. რედაქტორი კ. აბაშიძე. 1936 წ.

1903 წელს პეტერბურგის ფსიქიატრიულ სამკურნალოში გარდაიცვალა ოცდაჩვიდმეტი წლის ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი **გრ. აბაშიძე**, რომელსაც იმ დროს ქართველი საზოგადოება დიდი სიყვარულით და იმედით უყურებდა.

ამის შემდეგ სულ სამი ათეული წელი გავიდა და ჩვენმა მკითხველმა თითქმის სრულიად მიივიწყა ეს პოეტი, მოხდენილი და წრფელი გრძნობებით დაწერილი ლექსების ავტორი.

საჭირო გახდა გრ. აბაშიძის სახელის აღდგენა.

და აი, გამომცემლობა „ფედერაციამ“ ერთი თვის წინათ გამოსცა მისი ლექსების ერთტომეული.

კითხულობ ამ ლექსებს და გჯერა ის სიხარული და აღტაცება, რომელსაც ეს სტრიქონები თანამედროვეებში იწვევდა.

ბევრ მათგანს დღესაც არ დაუკარგავს მიმზიდველობა და სიცოცხლე, დღესაც მღერიან გრ. აბაშიძის ლექსებს, თუმცა იშვიათად, თუ იცის ვინმემ მათი ავტორის ვინაობა.

ვის არ სმენია მაგალითად ეს სტრიქონები:

„როდესაც გიცქერ, ტკბილად ძგერს გული,
შენდამი ტრფობით გატაცებული:
ოდეს გშორდები—მუდამ ვსტირი მე
შენ შემოგევლე, შენი ჭირიმე!“

და განა მარტო გრიგოლ აბაშიძის სტრიქონებს ეწვია ასეთი ბედი? რამდენი ლექსია გადასული ხალხში სასიმღეროდ გაიხსენეთ **დ. მაჩხანელის (დიმიტრი ნადირაძის)** „ტურფავ მოდი, ნუ ხარ მტრულად“ **რჩეულიშვილის** „ახ მთვარევ, მთვარევ, დამწვართ იმედო“ და სხვა. ეს სტრიქონები მიისაკუთრა ხალხმა და მათი პოეტური ენერგიის დამტკიცებას ამაზე მეტი საბუთი არ სჭირია.

გრიგოლ აბაშიძე ეკუთვნის მოგვიანო თაობის იმ მწერალთა წრეს, რომელნიც განაგრძობდნენ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ლიტერატურულ ტრადიციებს, მათი საღი ოპტიმიზმი და იმედიანობა, ასაზრდოებდნენ გრ. აბაშიძის შემოქმედებას. ლექსის ფორმალური ელემენტების ხაზით ჩვენი პოეტი უფრო აკაკი წერეთლის მსუბუქი და მკვირცხლი ვერსიფიკაციის ტრადიციას განაგრძობს.

ჩვენი კლასიკური მწერლობის მთლიანი სახე მხოლოდ მაშინ მიიღებს გარკვეულ შინაარსს და მიზანდასახულობას, როდესაც ყურადღებით შევისწავლით როგორც დიდი პოეტური ფიგურების, ისე მათი თანამგზავრი მწერლების შემოქმედებას. ხალხის ლიტერატურულ ცხოვრებას ჰქმნიან, არა მარტო კორიფეები, არამედ ლიტერატურული თაობები, სადაც კორიფეებს საპატიო ადგილი აქვთ მიჩნეული, როგორც ლიტერატურული იდეებისა და ფორმების დირიჟორებს. ხოლო ამ თაობების სიმფონია მხოლოდ მაშინ გაირკვევა ჩვენთვის, როდესაც გამოვიცნობთ ცალკე ინსტრუმენტების მელოდიებს.

ავიღოთ თუნდაც მისი საღი ოპტიმიზმი და სიცოცხლისადმი სიყვარულის დაუშრეტელი წყურვილი.

„მიყვარს სიცოცხლე, მიყვარს ცხოვრება,
მიყვარს, მიყვარდა და მეყვარება;
მიყვარს მსოფლიოს ჩარხის ტრიალი,
ის არის ჩემი ბედნიერება!“

ასეთი სასიცოცხლო ნაკადით არის განოყიერებული პოეტის წრფელი სტრიქონები სიყვარულის განცდაზე, რომელიც ქართულ მწერლობის შორეული ტრადიციით მას ყველაზე უმაღლეს და გამასპეტაკებელ განცდად მიაჩნია.

გრ. აბაშიძის მშვენიერ სატრფიალო ლირიკაში მოცემულია დიდი მორალური გრძნობები. ავიღოთ თუნდაც მისი პატარა ლექსი:

„ნუ გინდა ვარდი, ნურც ია,
ნურც განძი ოქრო-თვალისა;
ნურც უკვდავება, ზეარსთა,
ნურც სკიპტრი დედოფალისა;
ნურცა სალამი ცბიერთა,
ნურც ცრუ აშიყთა გალობა;
შენ შენი ეშხიც გეყოფის
და შენი კარგი ქალობა“.

წმინდა, ამამაღლებელი სიყვარულის გრძნობათა გამოხატვაში გრ. აბაშიძე დიდი ოსტატია უთუოდ.

პოეტი თავის ხანმოკლე შემოქმედებაში ამ რამდენიმე თემის რკალში ტრიალებს. მისი ოპტიმიზმი რომანტიული განცდებით იყო შეკვეცილი. პოეტი ვერ მივიდა იმ აზრამდე, რომ ცხოველმყოფელი ოპტიმიზმის ყველაზე ძლიერი ნაკადი ადამიანის შრომასა და ბრძოლაშია მოცემული.

გრ. აბაშიძე ერთ ლექსში ამბობს:
„ბრძოლა შეიქმს სულის ძალსა“.

ლექსების გარდა, ერთტომეული შეიცავს აგრეთვე ორ პოემას („ცრემლთა წყარო“, „დედა“) და თარგმანებს. მეტად საყურადღებოა ლერმონტოვის „მწირი“.

წიგნს დართული აქვს **კ. აბაშიძის** წერილი, რომელიც შემოქმედების მოკლე მიმოხილვასთან ერთად მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის პოეტის პიროვნებაზე.

წიგნი გამოცემულია სუფთად და ეჭვი არ არის მას მრავალი მკითხველი ელოდება.

ვ. ნ.-ძე.

უცხოეთში

კონკურსი პატარა მოთხრობაზე

პარიზის საღამოს გაზეთმა „პარი-სუარ“-მა გამოაცხადა კონკურსი პატარა მოთხრობაზე; კონკურსის პირობების მიხედვით, მოთხრობა არ უნდა შეურაცხყოფდეს მკითხველთა მორალურ, რელიგიურ და პოლიტიკურ გრძნობებს და არ უნდა აღემატებოდეს 200 სტრიქონს. რედაქციამ მოკლე ხანში მიიღო 52.347 მოთხრობა. მოთხრობათა წასაკითხავად სპეციალურად მოწვეულ იქნა 12 წამკითხველი.

კონკურსზე წარდგენილი ყველა მოთხრობა უნდა წაკითხულ იქნას 3 თვის განმავლობაში. წამკითხველთა ხელფასი ორჯერ აღემატება იმ ჯილდოს, რომელიც გადადებული აქვს რედაქციას საუკეთესო მოთხრობების პრემირებისათვის. ჟიურის თავისი დასკვნა შეუძლია გამოიტანოს მხოლოდ 6 თვის შემდეგ.

ბორის პასტერნაკი ჩეხურ ენაზე

პრაგაში გამომცემლობა „მელანტრიხმა“ გამოსცა ჩეხურ ენაზე ბორის პასტერნაკის რჩეული ლექსების კრებული. ლექსები შეარჩია და სთარგმნა პოეტმა იოსებ გორიომ. წიგნს დართული აქვს ბემის კრიტიკული მიმოხილვა პასტერნაკის შემოქმედების შესახებ. იგივე გამომცემლობა სცემს პასტერნაკის „Охранная грамота“-ს თარგმანს. წიგნში მოთავსებულია იაკობსონის წერილი პასტერნაკის პროზის შესახებ.

ჰორაციუსის პირველ გამოცემათა გამოფენა

ჰორაციუსის დაბადებიდან 2.000 წლის შესრულების გამო ნიუ-იორკის ქალაქის ბიბლიოთეკამ მოაწყო მანუსკრიპტებისა და პოეტის შემოქმედების პირველ გამოცემათა გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია ჰორაციუსის ოდების იშვიათი გამოცემები იტალიურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე, რომლებიც მიეკუთვნება 15—16 საუკუნეებს.

დოსტოევსკის გავლენა ინგლისის ლიტერატურაზე

ჰეიდელბერგში კარლ ვინტერის გამომცემლობამ გამოსცა ვალტერ ნეიშაფერის წიგნი: „დოსტოევსკის გავლენა ინგლისურ რომანზე“. ინგლისელი მწერლები დოსტოევსკის შემოქმედებას პირველად გაეცნენ 1881 წელს (დოსტოევსკის გარდაცვალების წელია). ინგლისურ ენაზე პირველად ითარგმნა მისი „Записки из мертвого дома“. შემდეგ მისი ნაწერების თარგმნა ძალზე ნელა მიმდინარეობდა. მწერლის გარდაცვალებიდან 30 წლის შემდეგ ინგლისში დაიბადა დოსტოევსკისადმი დიდი ინტერესი. ამ დღიდან იმჩნევა ინგლისურ ლიტერატურას დოსტოევსკის ძლიერი გავლენა. დოსტოევსკის თხზულებათა მასიურ გამოცემაზე უთუოდ დიდი გავლენა მოახდინა მწერლის ნაწერების ფრანგულ და გერმანულ ენებზე მასიურმა თარგმნამ. ვალტერ ნეიშაფერის აზრით, დოსტოევსკის გავლენა ემჩნევა ჯოზეფ კონრადის, სომერსეტ მოემის, ეტილ საიდვიკის, დ. ლოურენსის, ჰექსლის და სხვათა ნაწერებს.

დასასრულ ნეიშაფერი აღნიშნავს, რომ დოსტოევსკის გავლენა ინგლისში გადალახულია 1930 წლიდან.

საუცხოვო აღმოჩენა

პარიზში შექსპირის გამოჩენილ მცოდნეს კლარა დე-შამბრენს აქვს XVI საუკუნის საუკეთესო წიგნი: ხოლინდშენის „ქრონიკები“, რომელიც გამოცემულია მეორეჯერ 1587 წელს.

როგორც ირკვევა, შექსპირი თავისი ისტორიული პიესების დაწერისას აღნიშნული ქრონიკებით სარგებლობდა. წიგნის ფურცლებზე შექსპირის მიერ დაწერილია უამრავი შენიშვნა. ამის შესახებ შექსპირის მკვლევარებმა არაფერი იცოდნენ, რადგან ეგონათ, რომ შექსპირი „ქრონიკების“ პირველი გამოცემით სარგებლობდა, მაშინ, როდესაც მას უსარგებლნია მეორე გამოცემით. მკვლევარები ნაციონალური ბიბლიოთეკიდან და ბრიტანეთის მუზეუმიდან აცხადებენ, რომ მელანი და წერის სტილი უსათუოდ შექსპირის დროს ეკუთვნის. გრაფოლოგები ამტკიცებენ, რომ ეს შენიშვნები დაწერილია იმავე ხელით, რომლითაც დაწერილია შექსპირის მთელი რიგი საბუთები (მაგალითად, ანდერძი).

შენიშვნების გარდა, ფურცლებზე ჩაწერილია ცალკეული სიტყვები, გამოთქმები, სახელები და უამრავი მონოგრამა.

ხოლინდშენის „ქრონიკები“-ს ახლად აღმოჩენილი მეორე გამოცემა არის წიგნი, რომლითაც სარგებლობდა და რომელზედაც მუშაობდა შექსპირი.

„ფაუსტი“ ეკრანზე

გამოჩენილი გერმანელი რეჟისორი მაქს რეინჰარდტი, რომელიც ახლა ემიგრაციაშია, ჰოლივუდში ამზადებს დასადგმელად „ფაუსტს“. მარგარიტას როლს შეასრულებს გრეტა გარბო. მზადდება დასადგმელად შექსპირის „ჰამლეტი“. შექსპირის ნაწერების კინო-ინსცენირებამ ეპიდემიური ხასიათი მიიღო, ადგენენ სცენარებს, მაგრამ ერთი წუთითაც არ ფიქრობენ უდიდესი დრამატურგის ნაწერების ღრმა ეკრანიზაციაზე.

„ნეის ფეიე პრეს“-ი (პრაგა) სწერს: „საჭიროა დიდის გულდასმით ვადევნოთ თვალყური კინო-ინსცენირების ავტორებს, თუ როგორ მოათავსებენ ისინი კადრების ჩქარ ცვლაში შექსპირის გმირების უკვდავ მონოლოგებს. რა თქმა უნდა, ბევრი რამ, მეტად საგულისხმო, დაიკარგება. საუბედუროდ, შექსპირს არა ჰყავს მემკვიდრეები, რომლებსაც შეეძლოთ მისი დაცვა“.

ჟან კასუს წიგნი პრემირებულია

ჟიური (დიუამელი, პიუკ დიურტენი, პიერ ამპი და სხვა), რომელიც ყოველწლიურად რენესანსის პრემიას ანაწილებს, მიმდინარე წელს პრემია მიაკუთვნა ჟან კასუს წიგნს „პარიზის მკვლელობანი“. დასავლეთ ევროპის კრიტიკა, ბურჟუაზიული კრიტიკის გამოუკლებლივ, აღიარებს, რომ ჟან კასუს წიგნი ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში პარიზის კომუნაზე დაწერილ წიგნებში ყველაზე უფრო ძლიერი მხატვრული ნაწარმოებიაო.

„პარიზის მკვლელობანი“ რუსულად ამ მოკლე ხანში იქნება გამოცემული სახელმწიფო გამომცემლობის მიერ.

მარქსიზმის კლასიკოსები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ

პარიზის გამომცემლობამ „ედისიონ სოსიალ ენტერნასიონალ“ გამოსცა ორტომეული: „მარქსი, ენგელსი, ლენინი ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“. პირველ ტომში მოთავსებულია მარქსისა და ენგელსის სტატიები და ამონაწერები მათ თხზულებებიდან. მეორე ტომში — ლენინისა და სტალინის აზრები ლიტერატურისა და ხელოვნების გარშემო („იუმანიტე“).



ილიას სახლი საგურამოში

პატარა ფელეტონი

ინტრიგა

არ ვიცი—რატომ, კოტემ რომანი დასწერა.

წერის დროს ძალიან აწუხებდა ცოლს, შვილს. მეორე ოთახში ხმა-გაკმენდილი იჯდა ცოლი და ბავშვს, რომელსაც თამაში უნდოდა, ჩასჩურჩულებდა:

— ჩუმად, შვილო, მამა შენი თხზავს. ხმაური უშლის.

— არც სუნთქვა შეიძლება? — ეკითხებოდა დედას ბავშვი, რომელსაც განძრევაც კი აკრძალული ჰქონდა.

ასე იყო თუ ისე, ერთ დღეს კოტემ დაამთავრა თავისი ნაწარმოები. მეორე დღეს ორ მეგობარს სთხოვა, მასთან მოსულიყვნენ და დაწერილი მოესმინათ.

— მოვალთ, — უთხრეს მეგობრებმა,— ოღონდ შენ ცოტაოდენი შესაწუწნი დაგვახვედრე.

დანიშნულ დღეს ისინი მართლაც მოვიდნენ.

— აჰა, საქმეს შევუდგეთ! — დაიწყო კითხვა კოტემ.

მეოთხე გვერდზე ორი გმირი უკვე განადგურებული და მოკლული ჰყავდა ულმობელ ავტორს.

ულმობელობაში არც მსმენელნი ჩამორჩებოდნენ. ავტორი თავდავიწყებით კითხულობდა, მეგობრები კი შეუბრალებლად ანადგურებდნენ, თუ რამ ელაგა სუფრაზე. ნაწარმოების მესამედი არ ჰქონდა ავტორს წაკითხული და ათი კაცი უკვე მოკლული ჰყავდა.

როცა ჯერი ქალის სიკვდილზე მიდგა, მეგობრებმა კოტე თავაზიანად შეაჩერეს:

— იცი, რა გითხრათ, ისე აღელვებული ვართ ამდენი ტრაგედიით, რომ ჩვენი ნერვები მეტს ვეღარ უძლებენ. რაღაც იშვიათი დაგიწერია. ადამიანო, რას კლავდი აქამდე შენს ნიჭს?! გაუმარჯოს ახალ ვისრამიანს!

— ღვინო სულ დალიეთ? — იკითხა ხანა-გამოშრალმა კოტემ, როცა განადგურებული სუფრა დაინახა. — ერთი ყლაპი მაინც დაგეტოვებინათ!

— შენი დახოცილი გმირების სულის შესანდობარს ვსვამდით, — თავი იმართლეს მეგობრებმა. — ნიჭი ხარ, ხალასი ნიჭი! გენიოსი! გენაცვალე ყალმის წვერში! შენ ხარ სინდისი და დიდება ჩვენი მწერლობისა!

⁂

კოტემ დაიჯერა თავისი დიდება.

— რომ იცოდე, რა ქმარი მოგცა ბედმა!— ეუბნებოდა ის თავის ცოლს. — რა ღირსი ხარ ჩემი?!

იმ დღიდან ცოლი და შვილი მტირალნი ისხდნენ ოთახში. გენიოს ქმარს სამსახურში სიარული სამარცხვინოდ მიაჩნდა. არაფერს აკეთებდა და დღე და ღამ ხელისუფლების საყვედურში იყო, რომ ასეთი იშვიათი ნიჭი ოქროს სკივრში არა ჰყავს ჩაყუდებული.

თუ კიდევ რაიმე კმაყოფილე
ბდა, ეს მხოლოდ იმიტომ, რ
მთელი ქვეყანა მასზე ფიქრობ
რებობდა. ერთხელ ტრამვაის
გზა მისცა ვიღაც მოქალაქემ, ხ
ქალმა რატომღაც თვალი შე
და ამის შემდეგ კოტე სობოლ
წმენდა თავის დიდებაში.

— კარგი რამეა ეს მწერლობ
ბდა კოტე. — სახელი, პატი
ულამაზესი ქალები. — ყველ
გფეშქაშობს ბედი! სად ვიყავ

⁂

კოტემ თავისი ნაწარმოებ
ვადასცა.

დაპირებულ დღეს პასუხისათ
ციაში მივიდა.

გავიხედე და კარებშივე
ყვავილებით, ვაშას ძახილით...
კეტი, სიტყვები, ექსპრომტებ
რობდა კოტე გზაში და თამ
ჯებდა.

ასე ელოდა, მაგრამ...

— ფაბულა სუსტია, ენა
ნაწარმოებში ორმოცი გმირია
ამდენი კი კვდება... სისხლის
ვილი, კინაღამ დავიღრჩენით,
რედაქტორმა და რომანი დაუბ

კედელზე ჩამოკიდებულ პორ
ლაპარაკი დაეწყო, ასე არ
ბოდა კოტეს.

— აქ ინტრიგაა რაღაც! —
ულმა შესძახა რედაქტორს:
ჩემი ნათესაობა აღტაცებულ
ტრამვაის მოძრაობა ჩერდება,
ჩაში გავდივარ, ქალიშვილები
იშვერენ, თქვენ კი რომანს
არა, აქ ინტრიგაა რაღაც! ა
უფლებას, ნიჭი დამიხშოთ!
როგორ ვიმოქმედო, მოვნახავ

⁂

ამ „გზისა და სიმართლის“
კოტე დღესაც დადის ერთი ო
დან მეორე ორგანიზაციაში, აბ
ლას, ვინც ნაწარმოებს უწუნ
უფრო მეტს უწუნებენ, მით
დება რწმენა, რომ მის გარ
გის ქსელია გაბმული.

საქართველოში ყველა მოი
ლა ფიქრობს მოსკოვში გაგ
ვისი რომანი.

— არ მაფასებენ ჩემს ქვეყ
ჩევის ყველას კოტე. — რას
გამიგია! რითია ჩემი რომანი
ნებზე უარესი? სხვები ორას
ვენ და მე ორმოცის უფლება
ცხადია, აქ ინტრიგაა! და მ
კაცი არ ვიყო, თუ მის სათ
ვაგენი!

მხედარი

რომანი „ზემსახური“-დან

ალ. ჭეიშვილი

ერთი კვირაა, რაც ახალწვეულებმა კარანტინი დაასრულეს. უკვე სხვებთან ერთად სადილობენ, სძინავთ. ლეგიონის საერთო ოჯახში შევიდნენ. დღეს მეოთხეჯერ გაიყვანეს ცხენოსნობაში სავარჯიშოდ. დილით, როცა საუზმიდან საერთო საცხოვრებელში დაბრუნდნენ, ქიშვარდიმ ქიონიასაგან წერილი მიიღო. ქიონიას ტყლაპივით ფართე ქაღალდზე ძნელად გასარჩევ ხელით აეჭრელებია მელიქაურის მთელი ამბები. ქიონია სწერდა, თუ ვინ მოკვდა და ვინ გათხოვდა, ვის შვილი შეეძინა, სწერდა უკანასკნელ ალეგროს შესახებ, იმაზედაც, რომ ხის სახერხი ქარხანა აამუშავეს და მაღალ ეწერის ჩაის ქარხნის სადგურიდან ელექტრონის შუქი გამოიყვანეს. და თითქოს სხვათაშორის ბოლოში დასძენდა — ციცინო და ბონდო...

როცა ქიშვარდიმ ციცინოს სახელს თვალი შეავლო, გული აუჩქროლდა, თვალებზე თითქოს ბინდი გადაეკრა. შინ ნაკეთები კონვერტი წერილს სწორედ ამ ადგილზე დასწეპებოდა და გახსნის დროს კონვერტის ერთი ნაფლეთი ზედ შერჩენოდა. ქიშვარდიმ ძლივს ამოიკითხა სიტყვა დაინიშნენო.

ის თითქოს შეურიგდა თავის ხვედრს, თითქოს გულიდან ამოიგლიჯა ციცინოს სახე. წერილი მაინც მეხივით დაეცა თავზე. დაბნდა, რამდენიმე წუთს რეტდასხმულივით ეგდო ლოგინზე.

საერთო საცხოვრებელი უკვე დაცალიერდა. მისი ათეული უკვე თავლაში იყო და ცხენებს ჰკაზმავდა.

სასროლეთიდან შაშხანის პირველმა ჭახანმა გონს მოიყვანა. მასაც უკვირდა, თუ რატომ უკანკალებდა ხელები, რატომ უძგერდა გული, სანამ ბარათს ბოლომდე ჩაიკითხავდა. ის თავისთავს არ უტყდებოდა, რომ სადღაც გულის ხვეულებში კიდევ უღვიოდა რაღაცის იმედი, ისე როგორც ნაცარგადაყრილი ღველფი, დილით ცეცხლის გასაჩაღებლად გულმოდგინედ გახვეული. ისეთი განცდა ჰქონდა, თითქო ძარღვებში ტყვია ჩაუსხესო. წელი ძლივს აითრია ლოგინიდან და თავლისაკენ გასწია. ტანში ისე დალეწილი იყო, თითქოს მთელი დღე ქვას ამტვრევდა.

მის ათეულს ცხენები უკვე შეეკაზმა, როცა ის თავლაში შევიდა. ფეხებს ძლივს ადგამდა, ხელები არ ემორჩილებოდნენ. დიდის გაჭირვებით ჩამოიღო საბმულის თავზე გადართული თაროდან უნაგირი და სადავეები.

- რა დაგემართა, ქილიფთარო? რა ქარდანაცემ ქათამსავით დალიხარ, სად იყავი ამდენხანს? — შეეკითხა ტუღუში.

ქიშვარდიმ არაფერი უპასუხა და ცხენს კაზმვა დაუწყო. დაფაჩტულისაგან ისე მაგრად მოეჭირა ცხენს მოსართავი, რომ გამწარებული პირუტყვი კბილებით წვდა მკლავში. სხვა დრო რომ ყოფილიყო, ქიშვარდი სიმწრისაგან დაიღრიალებდა. ახლა კი ტკივილმა სასიამოვნოდ დაუარა ტანში; გულზე შემოწოლილი ბოღმა შეუნელდა. თავის და ცხენის სუნმა, უზანგების და ალვირების ჩხარუნმა გამოიყვანა გაშეშებულ მდგომარეობიდან, ცხენი თავლიდან გამოიყვანა და წყობილებში ბოლოში ჩადგა. მეთაური ცხენოსნობის წესების ახსნას შეუდგა, სწორედ ამ დროს სასპორტო მოედანზე ცხენოსანთა ესკადრონმა ვარჯიშობა დაიწყო. მათი ჯირითის საცქერლად ყაზარმის ახლომახლო მცხოვრებლებიდან აუარებელი მაყურებლები გროვდებოდა. ახალწვეულებსაც მათ ვარჯიშობაზე თვალი დარჩათ და მეთაურის ახსნა-განმარტებას გულდასმით ვერ უგდებდნენ ყურს.

ესკადრონი ჯერ მოედნის შუაგულში ვარჯიშობს. ბარიერებს იღებენ. ცხენებს ახტუნებენ კლავიშებზე, ხარიხებზე, სართულებად ჩაწყობილ ბამბუკის ჯოხებზე, ფიცრის კედლებზე, რომელზედაც ხის ტოტებია დამაგრებული. როცა ცხენები კარგა შეხურდებიან და მხედრებსაც [illegible] მოაწვებათ, ჩეხვაზე გადადიან. ჯოხზე ამაგრებენ წკეპლებს, თიხის ბურთულებს, დაგუნდავებულ თიხას, ტირიფის ტოტებიდან დაგრეხილ გვირგვინს, კანაფზე კიდებენ თივის ფიტულებს. დაზგები ერთი მეორესაგან ოც-ოცი მეტრითაა დაშორებული. მაყურებლები ფინიშთან დგანან.

აი სტარტიდან დაიძრა ცხენოსანი, ის თითქოს შეზრდია ცხენს. მაყურებლებს თვალს სჭრის ჰაერში მზეზე მოლაპლაპე ხმალი. მხედარი მოდის დაჭიმული სახით, ყიჟინით. ცხენს ახელებს მხედრის ზახილი. ცხენოსანი სჩეხს დაზგაზე დამაგრებულ წკეპლას, ჩხვლეტს ფიტულს, შუაზე ჰკვეთს დაზგაზე დადებულ დაგუნდავებულ თიხას, ხმლის ელვისებური დაკვრა ირიბულად ჰკვეთს წკეპლას. მარჯვედ მოქნეული ხმლით მოკვეთილი წკეპლა იქვე ვარდება. მხედარი მდგომარეობას იცვლის. ახლა მას შუბივით წამოწვდილი მოაქვს ხმალი. თვალი ფიტულს არ შორდება. ჩაუქროლებს, ფიტულს გაჩხვლეტს და მყისვე გამოაძრობს ხმალს. თუ წუთით შეფერხდა, ცხენი მხედარს გაიტაცებს და ხმალი ან ვადაში გადაუტყდება ან ფიტულში ჩარჩება. დაგუნდავებული თიხა ისე უნდა გაჰკვეთოს, რომ გუნდის ქვედა ნაწილი დაზგიდან არ ჩამოვარდეს.

ყველა მოუთმენლად ელის, როდის დაიძვრის ესკადრონის მეთაური ჩერქეზია. მისი დაჭიმული სახე სარზე ჩამოცმულ ცხენის ქალას ჰგავს. ლარტყივით მაღალია და გამხდარი. ის ჩეხვაში ვარჯიშობს სამი ხმლით. ეს ვარჯიში ხანჯლებით ცეკვას ჰგავს, მაგრამ გაცილებით უფრო სახიფათოა.

ჩერქეზიას შაშხანა ზურგზე გადაუდია. ცხენი სადავემიშვებული მიჰქრის. მხედარს ერთი ხმალი კბილებით უჭირავს. ორი დანარჩენით ჩეხს. შემდეგ ერთ ხმალს ქარქაშში ჩააგებს. შაშხანას მხრიდან გადაიძრობს, მიზანში ისვრის და ისევ გადაიგდებს ზურგზე. შემდეგ ხმალს კბილებიდან გამოიღებს და ამით ასრულებს ჩეხვის ყველაზე ძნელ ილეთებს. მაყურებლები მას ტაშის ცემით ხვდებიან. ახალწვეულები მოუთმენლად ელიან ვარჯიშობის დაწყებას. მათ, ჰგონიათ, რომ ცხენოსან ესკადრონივით ჯირითობენ მანეჟში. მეთაურმა კი ცხენზე შეჯდომის და ცხენოსნობის ილეთების ახსნა დაასრულა და შემდეგ უკამანდა.

— გაათავისუფლეთ უზანგები! ხელები გაუშვით სადავეებს! ნაბიჯით იარ!

მებრძოლებმა ფეხები გამოიღეს უზანგებიდან. უზანგები უნაგირის ტახტზე გადააჯვარედინეს. დიდად დანანდათ სადავეებისათვის ხელის გაშვება. ძლივს შეელივნენ. გულში შიში შეეპარათ. უსადავოდ და უუზანგოდ სოფლურ თაგვისტოლა ჰაკურებზე ვერ მაგრდებოდნენ და ახლა ამ ჩათქვირებულ ბედაურებზე რა გააჩერებდათ. ფეხების ოდნავ მიკარებისაგან ცხენები ჩორთზე გადასვლას ლამობდნენ. მანეჟს ორჯერ შემოუარეს. შემდეგ მეთაურმა ზახილი მისცა.

— ჩორთით!

მიმმართველ მეთაურმა ცხენს დეზები შემოჰკრა და ცხენები ჩორთზე გადაიყვანა. დანარჩენი ცხენებიც თავიანთ მხედრების ჩორთით დაუკითხავად მიჰყვნენ მეწინავეს. გაუწვრთნელი მხედრები დაიბნენ. საცოდავად ალაყლაყდნენ. ძლივს მაგრდებიან უნაგირზე. სხეული ხან მარჯვნივ გადაიხრება, ხან მარცხნივ.

— აი ახლა ჩამოვვარდები, ახლა დავეხეთქები დედამიწაზე. — გულისძგერით ფიქრობს თვითეული მათგანი მოსახვევში. დაცემის შიშიც აქვთ და თან იმ ხალხისაც რცხვენიათ, ესკადრონის ჯირითობის საცქერლად რომ შეგროვდა და ახლა გაუწვრთნელ მხედრების სათვალისეიროდ დარჩა. მებრძოლები ცხენებს ვერ მართავენ. მოლაყლაყე ფეხები უნებურად სცემს ცხენს ფერდებში. ცხენი არ გრძნობს მხედრის შემაკავებელ ხელს და თანდათანობით ჩორთიდან ნავარდზე გადადის. მებრძოლები უნებურად ტანს წინ ხრიან, უნდათ უნაგირის ტახტას ჩაეკიდონ ან ცხენს წვდენ ფაფარში.

— ხელები მაღლა! გაიმართეთ მხრებში! წელში დუნედ! — კომანდობს მეთაური და მებრძოლთა ბარძაყები უნებურად ეკვრის ცხენის ფერდებს. სადავემიშვებული და უზანგოდ ვარჯიშობის მიზანიც ეს არის. სხეული უნდა შეეჩვიოს გაჭენებულ ცხენზე დამაგრებას. უნდა გამოიმუშაოს ბალასტი და შლიუზები.

მაგრამ, აი, მოსახვევში ტუღუში მაინც ჩამოვარდა. მეთაური მივიდა, გასინჯა, ხომ არაფერი დაუშავდაო.

— ეს ერთი და სხვა ათასი!—ხუმრობით ეუბნება მეთაური ტუღუშს. ის რა ცხენოსანია, ვინც ცხენიდან არ ჩამოვარდნილა. ოღონდ ისე უნდა ჩამოვარდე, რომ ზეზე წამოდგომის და შეჯდომის თავი კიდევ გქონდეს. ცხენოსანი კატასავით უნდა იყოს. როგორც კი ჩამოვარდება, იმ წუთში უნდა წამოხტეს ზეზე. დიდხანს წოლის ნება არ აქვს. ჩვენც პანტასავით ვცვივოდით, როცა ცხენოსნობას ვსწავლობდით.

ცხენოსან ესკადრონის მებრძოლები კი დგანან და იცინიან.

— სხვების ჭირი კედელს ჩხირი? — გაიფიქრა სირცხვილისაგან აფაკლებულმა ტუღუშმა. გაფხაჭნილ ნებიდან მტვერი მოიწმინდა, შარვალი და ხალათი გაიბერტყა და ჩადგა წყობილებაში.

ქიშვარდი კი თითქოს უგონოდ შეჯდა ცხენზე. ბოღმა ისევ გულს შემოაწვა, თავი დაუმძიმდა. მას თითქო ძილში ჩაესმოდა მეთაურის ზახილი. უზანგიდან ფეხი გამოიღო. სადავეს ხელები გაუშვა. მან ვერც კი შენიშნა, როგორ გადავიდა მისი მაღალი იაბო ნაბიჯიდან ჩორთზე. ის წელში მოდუნებულია, მხრებში გამართული, ბარძაყი ცხენის ფერდს სალტესავით ეკვრის. როცა ცხენი მოსახვევში მობრუნდება, სხეული ინსტინქტიურად იმავე მხრისაკენ იხრება. ტარების სისწრაფის შიში არა აქვს. ცხენს დეზების ცემით აჩქარებს კიდეც. ქარი სახეში სცემს. ცხენის რბენა გულღვიძლს ურღვევს და ეს როგორღაც ამშვიდებს. მას არ ეფიქრება, თუ ცხენიდან ჩამოვარდება. თითქოს უნდა კიდეც, რომ მიწას დაენარცხოს. იქნებ დაცემამ გამოუნელოს ის მწვავე სევდა, რომელიც გულს „უმცირებს“. სხვებს ჩქარი ტარებიდან სუნთქვა ელევათ, ფითრდებიან, ქოშინებენ. ის კი მზადაა მთელი დღე აჭენოს ცხენი.

— რას მოხრილხართ მხრებში ბებრებივით. გაიმართენით! ვერ უყურებთ ქილიფთარს და ჭინჭარაულს, როგორ ლარტყივით სხედან ცხენზე!— მიმართავს მეთაური შემკრთალ მხედრებს. გამახელა ჭინჭარაული როშკელი ხევსურია. ჯარში მოხალისედაა წამოსული. ქორწილში კეჭნაობისას მაჯა ოდნავ გაუკაწრავს მოპირისპირისათვის. მას სისხლი მოსწავლია და მომკვდარა. სისხლის მორიდებია. ერთხან კახეთში შეუფარებია თავი და შემდეგ ჯარში წამოსულა.

მეთაურის ქება საამური ნიავივით მოხვდა ქიშვარდს, შუბლი გაეხსნა და შემოჯარულ ხალხს თვალი მოავლო, მაგრამ იმ წამსვე ჯიბეში ჩაჭმუჭნულ წერილს მოჰკრა ხელი და ბოღმა გულს ისევ შემოაწვა.

— ჰაი გიდი! ვისზე გამცვალეს —აბა ვნახოთ ვინ ვის აჯობებს, გაიფიქრა მან და გაბრაზებით ცხენს დეზი შემოჰკრა. ათეულს ჩამოხტომა-ახტომაში ავარჯიშებენ. „მაკრატელზედაც“ გადაიყვანეს. ახალწვეულებს ეს ყველაზე უფრო გაუძნელდათ. გაჭენებულ ცხენზე უნდა შემობრუნდნენ და ასე განაგრძონ ვარჯიშობა. ამ ვარჯიშობას მარტო ქიშვარდი და გამახელა ახერხებენ.

გამახელა ბავშვობიდანაა დაჩვეული როშკის შვეულ კლდეებზე უბელო ცხენებით თავქვე დაშვებას და ის ოდნავ მარჯვენა მხარაწეული განუძრევლად ზის ცხენზე. დანარჩენები კი წამდაუწუმ სცვივიან ძირს. ვარჯიშობა დასრულდა. ვინც უნაგირზე შერჩა, ჩამოქვეითდა. ისე დალეწილები არიან, რომ ფეხს ძლივს ადგამენ. სადილობამდე ცხენებს წმენდნენ თავლაში და ვარჯიშობის შესახებ ლაპარაკობენ.

— რა შანსიანი ბიჭი ყოფილა ქილიფთარი. კარანტინში რა ბუსავით იჯდა!—ამბობს ტუღუში.—ყიამეთი ცხენოსანი იქნება!—უპასუხებს ახალკაცი.

ღამეა. საერთო საცხოვრებელში მხოლოდ ერთი ელნათურაა თვალღია. ყველას მკვდარივით სძინავს. ქიშვარდის კი ძილი გაუტყდა. შესაწვავ გოჭივით ბრუნავს. თვალებს დახუჭავს, საბანს წაიხურავს. ფიქრით შინაა. აგონდება უკანასკნელი ალეგრო, სათრეველი ლექსი, რომელიც მასზე შეთხზეს.

„არ წავყვები ქიშვარდიას, ტყუილა გადამკიდიაო“.

მოაგონდა გაწვევის დღე, სამობილიზაციო პუნქტში გამოქცევა, საექიმო გასინჯვა. შემდეგ სახეები ნაკვთოვანებას ჰკარგავენ, რაღაც მორები და ფილუგები დაცურავენ თავში. საფეთქლებში ტკივილს გრძნობს, თვალს გაახელს („სულ წამწამზე მიზიხარ“) ყველას სძინავს. სწავლობს შუა, გასასვლელში ტყვიამფრქვევებს პირი მისკენ აქვთ მიშვერილი. თითქოს მას უყურებენ და უკვირთ, რას ბრუნავს ეგრე მოუსვენრადო. ქიშვარდის საწოლის ჭრაჭუნზე გამახელას გამოეღვიძება. (მისი ლოგინი ქიშვარდის მეზობლად დგას ფანჯარასთან).

— ჰაი, გიდი ბიჭავ, ძილ არ გეძინების?—ეკითხება ქიშვარდის გულთბილად გამახელა.—მეც [illegible] მეძინებოდა, როცა თოთია შამამაკვდა. ეგრე ვბორგდი, როგორც ნადირი სარკმელი ორ-ორ მეჩვენებოდა.

— როგორ შემოგაკვდა კაცი, გამახელავ?—ეკითხება ქიშვარდი და ლოგინზე წამოჯდება .

— ეხ! რად მიმღვრევ ისევ გუნებას. რამდენჯერ გიამბეთ კარანტინში ჩემი იშტორია.

ქიშვარდი არ მოეშვება და გამახელაც იწყებს ნამძინარევი ხმით:

— ქორწილი ჰქონდა ჩვენ ბიძათაშვილებს როშკში. მე მესტუმრეთ ვიყავ, ვმასპინძლობდი. მთელი ღამე სტუმრები არ უნდა დამეძინებინა. ვაწვდიდი და ვაწვდიდი ლუდს და არაყს. არ მოვასვენე, არ დავაძინე ერთი არხვატაველი იონდ ბიჭი, თოთია არაბული, ძალიან დაითრო. ჩემი სწორფერი კმარა შაირობაში გამაიწვია. კმარამ აჯობა. თოთია გაბრაზდა და რო სხვა ვერაფერს გახდა, კმარას მურტალი ლექსი უთხრა.

— მოდი, ქალავ, ერთად დავწვეთ,
ჩვენც გამჩენი ვახსენოთაო.

— კმარამ მე შამამხედა, გაწითლდა და თოთიას მიახალა:

„ცხრა რომ ერთად გამომებას,
ერთს არ გავხდი საშენოთაო“.

— მეც გავბოროტდი და არხვატაველებს ეგრე უთხარ:

„ვაი თქვენს ბედს, არხვატაველნო,
დრო გაგეპარათ ძველიო,
დაგიდგა საპაულადა,
ბაგაზე დასაბმელიო“.

— იმათ შამამაგინეს „გიტირებთ დედასაო, ჩაგიკლავთ ვირსა ჩახოცილთაო“.

— ბრაზი მამერია. ლუდის დიდი ჯამი იდო. დავავლე ხელი და ვთხლიშე ერთი არხვატაველს სახეში. ის მიწაზე გაიშხლართა, მამცვივდნენ მისი ბიძათაშვილები; ამისვენ და ჩამომისვენ სახეზე საცერულები ხმალითაც წამაიწიევს. მეც გავიძერ ხმალი და თოთიას, რომელიც არხვატაველებს მეწინავეობდა, მაჯაში ვატაკე ფრანგული. მას ხმალი ხელიდან გაუვარდა. (სახე ახლაც დახნულივით ქვს გამახელას). მსუბუქათაც თაიჭრა, ჭრილობა არც კი ემჩნეოდა. სისხლი ეგრე რომ გამესწორებინა, ერთი ძროხაც არ შამხვდებოდა. მაგრამ თოთიას სისხლი მაეწამლა. უწამლეს, ულოცეს, მაგრამ არაფერმა უშალავათა, როცა კვდებოდა და მარჯვენა ხელში ხმალი მისცეს და მარცხენაში სანთელი და პირში მარილი ჩაუყარეს,

მაშინ ეთქო, გამახელას
ნებთ, სასიკვდილოდ არ
ხმალიო. მე მაინც არ დამ
და ხევსურეთში და გამოვ
ხანს კახეთში ვიყავ თეთრ
მერმე ვითხოვე და ჯარშ
მოხალისედ. ჯარიდან რო
დები, სისხლს შევაფასებ
წორდები თოთიას მოკვ
რაც მე მელოდება. პირი
რული. ახლა კი დაიძინე,
ადგომა გაგიძნელდება.

გამახელამ საუბარში
ჟამისჟამ ძილში თუ წამო

— აიტ! აბიკა, მამე
თოთიაი მამდევს!

ქიშვარდი ისევ ლოგინზ
მორთხმული. ღამის მ
მორიგის ნაბიჯების ხმა
მორიგე კედლის საათის
გაზომილად მიმოდის,
ზარმის გვერდით მდებარ
გზის ხიდზე რახრახით
ბარგო მატარებელი, ან შ
ჩაირბენს თავაწყვეტილი
ორთქლმავალი; შემდეგ
ჩამოვარდება. ქიშვარდი
შუბლს ფანჯრის მინას
მინა შუბლს უგრილებს,
ლი გასცქერის ფანჯარაშ
პირდაპირ თითქოს ღრმა
სახედალარული თრიალე
ფერდოები იშვება. ქიშვა
რებს მთის ფხაზე მკერდ
ნობილს დაჩეჩილი მატყ
ღრუბლის ფარტენებს.

— საიდან მოდიან, სა
თებიან? აქ რად შეჩერებ
ელოდებიან?—ფიქრობს
—ჩემებრ ბოღმისაგან ხომ
გაშეშებული.

ღამის მყუდროებას არღ
მფრინავის ქუთქუთი. რა
ეს ჰაერის მკვეთი დაშნ
არასდროს არცერთ სხვა
აურევ. ეს არის საზეიმო
ანის მიერ ჰაერის სტიქ
რობისა.

როცა ქიშვარდიმ პირვ
ბულეთში ნახა თვითმფ
ჭაობის თავზე ძერასავ
დაფრინავდა და რაღაცას
და, ქიშვარდიმ თავი მფ
გილას წარმოიდგინა და
სუნთქვა შეეკრა.

— რომ რამე წაუხდეს,
სული არ დაჰყვებაო. ახ
ხმამ ისე გაიტაცა, რომ
გამოაღო და ღამიერ ცის
რდში ლითონის ფრინვე
დაუწყო. პროპელერის ხ
დისაკენ მიიმართება.
ფხაზე გარინდებულ ღრუ
ლაც უნაკვთო ლანდი
წითელ - მწვანე სანათურ
ნებენ თვითმფრინავს. ქი
ზე დგება, ფეხაკრეფით
ერთო საცხოვრებლიდან.
და ყურით მისდევს თვ
რომლის წითელ-მწვანე
უკვე იკარგება თრიალე
გადაღმა. რა სიამოვნებით
და ის ახლა ამ ქარის ფრ

პ.-მ. რედაქტორი აკ. თათარი
პ/მ. მდივანი ნიკოლოზ

ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“ კამოს ქ. № 68.
მთავლიტის რწმუნებული 7073